








ყოფილი „ჯეჯილი“

I	თქმულება ლექსი—შ. მდვიმეჯისა . . . . .	3
II	წიგნი იგაეი—აფ. მიწინაშვილისა . . . . .	6
III	თითების ჩხუბი (რუსულიდან)—ბეს. გაშაძისა . . . . .	7
IV	გულთმისანი მოსამართლე (ფრანგულიდან)—კვლასა . . . . .	9
V	სიზმარი პოლინიურიდან გადმოღებული—ა. ყუმისთაყვასა . . . . .	11
VI	ძაღლის და კაჭკაჭის მეგობრობა . . . . .	14
VII	მელიას თავ-გადასაველი, ზღაპარი (გაგრძელება)—აფ. ნათამისა . . . . .	16
VIII	ღამურა—სოფელელისა . . . . .	26
IX	ერთხელ გაძღა—თ. წაწიკაშვილისა . . . . .	38
X	ენა-ტანია (თარგმანი)—ს. ციციშვილისა . . . . .	44
XI	ჟან დარკი (გადმოკეთებული ფრანგულიდან)—ან. წყრეთლისა . . . . .	56
XII	წერილმანი: აკროსტინი, ანდაზები, გამოცანები შარადა და ახსნა . . . . .	61



თანხმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ყოფილი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საუბრაჲ ვილო ნახატებიანი

ეჟურნალი

იზარდეს მწკანე ჟიჟილო,  
დაბურდის, კასდი უანაო!..  
ი. დ.

№ V

ვალიწადი მაცაამბა



ტფილისი

სტამბა ტ. შ. როტინიანცის, № 41 | Тип. Т. М. Ротинянца, Гол. пр. № 41  
1902









თქმულაგა.

იცით რათ გალობს ბუღბუღლი  
ერთავად, ვარდზედ ღამითა?!  
ახლავ გამბობთ, დამიგდეთ  
თქვენ ყური ერთის წამითა.

წინეთ ეს ღამის მგოსანი  
თურმე დღისითაც გალობდა;  
მზის სჩივებს თნარნარებდა,  
მათი სინათლით ხარობდა.





გარდა ვარდ-ყვავილებისა  
ვაზზედაც ხშირათ ჯდებოდა;  
დღე უგალობდა ბუნებას,  
ღამე ძილითა ტკბებოდა.

ერთხელ მოუხდა ვაზზედა  
ღამის გათევა ბუღბუღლსა;  
ხმა არ ისმოდა არსითგან  
ეძინა ყველა სულდგმულსა.

გალობდა მხოლოთ ბუღბუღლი  
მადლსა სწირავდა ზენასა,  
შორს ველში კჳენდა საამოდ  
ნოთილისმებულ სტვენასა.

ბუნება, ზეცა, ზღვა, ხმელი  
ძილს ეძლეოდა, თვრებოდა;  
ბუღბუღლსაც სტვენით მოღლილსა  
გულ-ტკბილათ ჩასძინებოდა.

აღარსად ჩანდა ცისკარი...  
ცასა მტრედის ფრათ ენათა;  
ბუღბუღლმაც ფრთები გაშალა  
ჭაღისკენ გასაფრენათა.



მაგრამ ფეხს ვეღარ იხსნიდა.

თურმე ხიფათი სწვეოდა:  
ვაზის ხუჭუჭა მკაფანა  
ზედ ფეხზედ გადახვეოდა.

მაშინ დასწყევლა ბუღბუღმა  
ძირი და ფეხვი ვაზისა;  
მას შემდეგ იშვიათია  
დღისით გალობა ნაზისა.

დღე სძინავს, ღამეს ათენებს  
ფგალობს არე-მარესა  
მზის ნაცვლათ ეალერსება  
ახლა კაშკაშა მთვარესა.

შ. მღვიმელი.







## წისკვილი.

იგავი.

**წ**რთმა კაცმა წისკვილში ერთი ტომარა ხორბალი დააფქვევინა. როცა ფქვილს დახედა, ჭკტუაში არ მოუვიდა და წუენითა თქვა:

— ვაი შენ, ჩემო თავო, რა ხორბალი გავაოხრე: ეს წისკვილი-კი არა, ღვთის რისხვა ყოფილა: დაფქვის მაგივრათ პური სულ დატროშავსო.

— მე რა ვქნა, — ჩემო ძმაო, — მიტგო წისკვილმა: — ამის პასუხი მეწისკვილეს უნდა მოთხოვო: უნდა — მაფქვევინებს, უნდა — მაროშვინებსო.

აღ. მირიანაშვილი.







## თითების ჩხუბი



პატარა კოლას თავის ოთახში ეძინა. ამ დროს-კი იმის ხელის თითები ერთმანეთს ეკამათებოდენ: არა მე ვჯობივარ და არა მეო.

— პატარაებო! — ჰყვიროდა ცერი, მე ყველაზე მეტი ვარ.

— ტყუილია! სად მე და სად თქვენ, ტრაბახობდა მაჩვენებელი თითი, — უჩემოთ თქვენ არაფრის ვაკეთებაც არ შეგიძლიათ.

— ნუ ჩხუბობთ ტყუილია! უპასუხეს შუა თითმა და უსახელო თითმა, ანუ არა თითმა, — ჩვენც ხომ სასარგებლო ვართ.

— ეი, ეი! მე სრულებით დაგავიწყდით? — შეურაცხებით დაუმატა ნეკმა.

— ოხ! შვილო თითებო! ნუ ჩხუბობთ, უთხრა მათ ხელის-გულმა, — თქვენ ყველანი ჩემი შვილები ხართ, მაშასადამე, ერთმანეთის მკვიდრი ძმები, რო-





მელთაჲც ერთმანეთი უნდა გიყვარდესთ; მაგ ჩხტს  
 და ტყუილს უბრალოთ ტრაზახს, უმჯობესია ძმუ-  
 რათ და მშვიდობიანათ იცხოვროთ და განსოვდესთ,  
 რომ თქვენ ყველანი საჭირო და სასარგებლო ხართ.

ბეს. ვაშაძე.

(რუსულიდან)





## გულთმისანი მოსამართლე.



ეჲ ერთი მდიდარი და კრიჲანგი კაცი. ბასრობას არ აკლდებოდა, მაგრამ არც არას უიღულობდა, თუმცა ვაჭრობა უყვარდა და ჯიბისკენ ხელის წაღება იცოდა. ერთხელ ასე რა ვაჭრობდა, ნახა ქისა დაჭკარგოდა. შიგ თურმე ათი თუმანი ედო. ადგა, შესწივლ ბოქაულს და უთხრა ვინც იმ ქისას და ფულს მოძიტანს, ერთ თუმანს სანჯუნელას მივცემო. ბოქაულმა გზირებს უბრძანა, ფულის დაკარგვის სმა გაეგდათ.

გავიდა ორი დღე და ერთი გულადი კლესკაცი მივიდა მდიდართან და მიიტანა ფულიანი ქისა. მდიდარმა ჩამოართვა და კარგათ რომ დაითვადა, უთხრა: ძმაო, ეს ქისა ჩემია და დიდათ გმაღლობ მოტანისათვისო. ის იჲო, უნდა გაესტუმრებინა, მაგრამ კლესკაცმა სანჯუნელა მოსთხოვა.

კრიჲანგმა უთხრა, როგორ თუ სანჯუნელა? ქისაში თერთმეტი თუმანი იდო, ასლა კი მარტო ათი თუმანია. შენ ამდგარხარ და სწორეთ იმდენი ავიღა, რამდენსაც შეპირებული ვარ, დემართმა შეგარგოსო.





ეროვნული  
მედიკოსი

გლესკაცმა ნახა, კრიჟანგი იბრეუებდა. მის მადლობას არ დასჯერდა და მოსამართლესთან გასწია. კრიჟანგი დაიბარეს. როცა ქისა და ფული სასამართლოს წარმოუდგინეს, მოსამართლემ ჭკითხა გლესკაცსა, ეს ქისა შენ იპოვეო? — დიხს, ბატონო, ანიძნა გლესკაცმა. მაძინ მოსამართლე მიუბრუნდა კრიჟანგს და ჭკითხა, რამდენი დაგეპარგაო? — თერთმეტი თუმანიო. — რამდენი იღო ქისაში, ამ კაცმა რომ მოგიტანაო? — ათი თუმანი, არც მეტი, არც ნაკლებიო.

მოსამართლემ უთხრა, კძარაო და შემდეგი სამართალი გაუჩინა: ვინადგან თქვენში ერთს დაუკარგავს თერთმეტი თუმანი, ხოლო მეორეს უნაფინა ქისა და შიგ იმდენი არ ეოფილა, რაც იმ ერთს დაუკარგავს, ცხადია, ნაწაფნი ფული სულ სხვა და დაკარგული კიდევ სხვა ეოფილაო.

მერე გლესკაცს უთხრა: — ასე ჩემო გულადო, წაიღე ეს ფული და შეინახე, ვიდრე ათი თუმნის დამკარგავი გამოჩნდებოდესო.

მდიდარი ზირძავი გამობრუნდა და მოქალაქობამ ეველამ შეიტყო, თუ რა ფასათ დაუჯდა კრიჟანგობა.

კლდია.

(ფრანგულიდან)







ს ი ზ მ ა რ ი.

ატარებ თმა-სუჭუჭკელა ვანომ ზირ-  
ველათ ნახა სამხეცე. ვანოს ძრი-  
ელ მოეწონა სამხეცეში ნახული  
ძმეცები და ფრინველები.

როცა ვანო სასლში დაბ-  
რუნდა ეველას ნახული ძმეცე-

ბის და ფრინველების შესახებ ელაპარაკებოდა. ვანო გაკვირ-  
ვებას მოდიოდა, როგორ შესძლო ადამიანმა აძენი ცხო-  
ველების ერთად მოგროვება. ვანოს მხოლოდ ის-ღა  
აწუსებდა, რათ არ დათვაღა ეველა ცხოველები. ჰა-  
წაწკინტელა ვანოს ნორჩ კონებას სულ სამხეცე აკონ-  
დებოდა.

ვანო უკვე ლოგინში იწვა და მისი მთელი ნორჩი არ-  
სება სამხეცეს არა ცილდებოდა. ჰაწაწკინტელა ბავში სულ  
სამხეცეში ნახულ ცხოველების ფიქრში იყო, როცა მას კი-  
დევატ ჩაემინა.

ვანომ ძილში ამნაირი სისძარო ნახა: მშვენიერი, ლა-





თარგმანი

საქართველო

მასი ხეებით გაშენებული ტყე ჰატარა ვანოს ზეგალთ-წინ  
გადაჭიმულიყო. თვალ-გადაუწვდენელ ტყეში ათასი სხვა-და-  
სხვა ჯურის მსუცი, ფრინველი და მწერი ფესათ ირეოდა.

ტყის თვალსაჩინო ადგილას გაისმა საამური მუსიკის  
ხმა და მსუცებმა ერთხმით თამაში და ტყეკვა გამართეს. თრი-  
თინამ წამოავლო ხელი მარდ კურდღელს და ჰოლვა ჩამო-  
უარა. ლომმა და ვეფხვმა მწეობრათ მასურკა გაჩაღეს.  
სწილომ მოხლო ხორთუმი ცბიერ ძელას და კონტრადანსი  
შეითამაშა. სირაქლემამ ხარბუსას მხარი მისცა და ვალ-  
სით ჩამოიტრიალა. ზოგი მსუცები, როგორც მავალითათ,  
აქლემი, გარეული ღორი და სხვები სათითაოთ თამაშობ-  
დენ და საერთო მხიარულებას ხელს უწყობდენ. ფრინვე-  
ლებიც მძაღლ ხის ტოტებზე არა ნაკლებ ერთობოდენ.  
ქვილ-ხივილით, ზოგი წვეილ-წვეილათ, ზოგი მარტოთ  
მარტო მუსიკის საამურ ხმას ფესებს აეოლებდენ. მწერებმა  
ჭაერში გამოიწეეს რაღაც თავისებური სათამაშო და მხიარ-  
ულათ საერთო ფერხულში ჩაებნენ. ცხოველთა მხიარულე-  
ბა თან-და-თან უფრო სამხიარულო სახეს იღებდა. ძოთა-  
მაშენი ათასნაირათ ატრიალებდენ თათებს და ფესებს ჭაერ-  
ში. ცხოველები ისე თავდავიწყებით და მძლავრათ ერთო-  
ბოდენ, რომ მიწა სიძძიმით ცახცახებდა. სწილო ხორთუმს  
ჭაერში რაღაც ეძმაკურათ ატრიალებდა და სინარულისაგან  
რაც ძალი და ღონე ჭქონდა ღრიალებდა. ვანო შესცქერო-



და მსეცების და ფრინველების ფერხულში შებმულ მსიარულ ტრიალს და გულიანათ სითსითებდა და ხითსითებდა.

— «კმარა, კმარა!» ერობაშათ შეჭყვირა ვანომ, «ლამის სიტყვით მოკვდე თქვენის ოხუნჯური თამაშით!»

ვანომ ეს სიტყვები ისე სმა-მაღლათ წამოიძახა, რომ კიდევაც გამოეღვიძა.

ვანომ ღიმილით მიიხედ-მოიხედა, სომ არაკინ მხედაკ-სო, მოაგონდა უველაფერი და როცა დაწმუნდა, რომ ყოველი ტეეში ნახული სიხმარი იყო, გადაბრუნდა მეორე გვერდზე, გადაიხურა საბანი და ლაშათიანათ ჩაიძინა.

ა. ყუმისთაველი.

(პალონიურიდან გადმოღებული).







## ძაღლის და კაჭკაჭის მეგობრობა.



ფრინველების და ცხოველების მეგობრობაზე ბევრ ამბებს მოგვითხრობენ; ისინი სშირათ მასწრობენ და სსვა-და-სსვა ოინებს ჩადიან.

ერთი ძემაძულის ესოძი ჯაჭვით დაბძული იუო ბებერი ძაღლი, იძ ესოძიუე ჭუავდათ ძოძინაურებული კაჭკაჭი. კაჭკაჭი ჯერ ძაღლის სუსულას თავს დაჭურინავდა სოლძე და ძერე კიდეც ძაღიან დაუძეკობრდა, თუძკა ჩაიგდებდა დროს თუ არა აჯავრებდა და აბრასებდა: მოსტაცებდა სოლძე სადილიდან სორცის ნაჭრებს და როდესაც სასლის ჰატრონი ძაღლს ჯოხს ჰირით წაბლებინებდა კაჭკაჭი სედ დაჯდებოდა და ძის ძეკობარს ძაღაუნებურათ კაჭკაჭიც თან ძიჭუავდა. ძაღლს ჩეუელებრივათ ჯოხნი კბილებით ეჭირა, სასამ არ დაიღალებოდა, ძერე





უცბათ გაუშვებდა და მის სისარულს სამხელვარი არ ჰქონ-  
და, როდესაც შეშინებული კატკატი მიწასე დავარდებოდა,  
მოჭეუებოდა სტუნვას, სამინელ ევირილს და ფრთების ძლას.

კატკატი მუდამ თავს აბესრებდა ძაღლს, მაგრამ ის უთ-  
მენდა აუკელაფერს, არასოდეს არ აწუენინებდა სოღძე, თუბ  
ცა მასზე ერთი ათათ ღონიერი იყო.







## მელიას თავ-გადასავალი.

(ზ ლ ა პ ა რ ი)

თავი V.



ელიამ დაიწყო სიცრუე და მეტე რა სიცრუე:—შეურაცხეო მამის სსენება, არ დაზოგა თავისი ერთგული და მუდამ ქაძმ ქოძაგი ნათესავი ძაჩვი. გარეწარი ტყუილათ კი არ იქცეოდა ასე—ამ სერსით უველას უფრო ადვილათ დააჯერებდა მოგონილი ამბის სინამდვილეში; ფიქრობდა ამ სერსით მხვი თეთრათ ეჩვენებინა და შეურაცხეოფა მიეყენებინა მძლავრი მტრებისთვის. ამას უველაფერი მოფიქრებული ჰქონდა, აწონილ-დაწონილი.

— ერთხელ მამაჩემმა, ასე დაიწყო თავისი ამბავი მელიამ.—მველათ-მველ დარჩენილს სასინას მიავსო. თუმცა კი განმს ამისთვის კეთილი არა მოუტანია-რა, მაგრამ ზირველ ხანებში მან ძალიან ყოყოჩობა დაიწყო, ცა ქუდათ არ მიანდა და დედამიწა ქალამნათ, აღარავის კადრულობდა, არავის თავს არ უუადრდია. ერთხელ მამაჩემმა ბოხვერას

76-77



კაცი კარგად და წერილი მისწერა, რომ მას თავის  
ვი მეფეთ გამოეცხადებინა და ამ საქმეში ბებრუცა დახმ-



რებს ჭირდებოდა. ამ ამბავმა ბოხვერა ძელიან კახარა  
და მამინვე წაბრძანდა მამხეშთან ამ საქმესე მოსაღაპრა-





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ეებლათ. აბა მარტოვა ხომ ვერაფერს გადასწვევტავდეს და აფრინეს კაცი ტუჩასთანაც და ბრძენი მახვიც მოიპატივეს სათათბიროთ. დასდენ ხუთივე (ციცუნიაც იქა ბრძანდებო-და) და მთახდინეს შეთქმულობა. ღამის წვედიადი ჭყარავ-და მათ ცოდვილს სასხეს. შესდენ იგინი ემპაკის ვირსე და ერთ-ხმივ დაადგინეს თქვენი დიდებულობის დალატი... სიკვდილი და ბოხვეროს გამეფება. ეველა იქ მყოფთ მი-იღეს ფიცი ახლათ მოვლენილ მეფის წინაშე და ხალხის მოყიდვა-კი მამახემმა ითავა თავისი სასინღარი ოქროსა და ვერცხლის შემწეობით.

ამ ამბავმა ჩემამდის მოაღწია და აი როგორ?

ერთხელ ჩემ ძმისწულს მახვს გადაგვრა ღვინო და თა-ვისი ცოლისთვის ეამბო ეველაფერი; ამ უკანასკნელსაც ჩე-მი ცოლისთვის დაეფუქვა და ამანაც მე გადმოძვა და დამა-ფიცა კიდევ, რომ არავისთვის გამემხილებინა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რანაირათ მოძალადა და აძაღველა ამ ამბავმა! ამ შემთხვევამ მომაგონა სულელი ბაყაყების ხვეწნა და ვედ-რება სევსინადმი, რომ მას კუნძის მაგივრათ, რომლისაც არავის ეძინოდა, სხვა მეფე გამოეგზავნა. სევსმაც შეისმი-ნა ვედრება და დიქრთათ ასიდა გამოეგზავნა. ვაი იმ ყო-ფას, რაც ყოფა ანიდამ ბაყაყებს დააყენა — მიჭყო-პირი და-მნამავესაც და უდანამულოსაც და უღაბავ დაწყო ეველას განურჩევლათ. უბედურები ბარემ მიჭნულენ — თუ რა კეთი-ლი მეფე დაჭარტეს, მაგრამ საქმეს ვეღარა უძველეს-რა.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სწორეთ რომ მეძინოდა, სულელი ბაყაყების  
დაკეპართნოდა ჩვენც, მაგრამ ამ შეთქმულობის გაქარწყლე-  
ბა მე ვიდე თავსე და უველა ღონისძიებასა ვხმარობდი და-  
მეფარა და დამეხსნა თქვენი დიდებულება უმჯველი განსაც-  
დელისაგან და მივაღწიე კიდევ ჩემს მიხანს და ჯილდოც  
სომ საუკეთესო მივიდე.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე ვერბება სამინლათ ამოიოს-  
რა და თავი აქეთ-იქით გააქნია.

— მე კარგათ ვიცოდი, რა სასიხლარი, სასტიკი და  
გაუტანელი ბრძანდებოდა ბოხვერა და ხალხის ცოდვით  
გული ბოლძით მევსებოდა, განაგრძო მელიამ. — ჩვენი ახ-  
ლანდელი ძეგე კეთილშობილი და მოწყალე ბრძანდება-მეთ-  
ქი და ჩვენ თავს დავლუზავთ, რომ ბოხვერა ტახტზე ავა-  
ბრძანოთ-მეთქი.

საქმის ასე გაჩერება შეუძლებელი იყო. ჯერ ის სასი-  
ხა უნდა როგორმე ჩამეგდო სელში, რომ მამახემს არ მო-  
ესწრო ხალხის მოყიდვა. მე მუდამ ქამს ვუთვალთვალვებდი  
ჩემს ბებრეუტანას: წავიდოდა ტეეში, ეძმაკავით მეც იქ გა-  
ვხნდებოდი, წავიდოდა მინდორში და აქაც თავს დავუკრავდი  
სოლმე. არც სიცხე და არც სიცვივე მე არაფრათ მიძახნდა,  
ოღონდაც ჩუმათ როგორმე შენახა სად ქქონდათ ხანინა  
შენახული. ერთხელ ჩუმათ ტეეში გავევი მამახემს, წამოვწექ  
იქვე შეუვალ ტეეში და სულ იმის ფიქრში ვიყავი როგორ-  
მე თვალი მომეკრა იმ ადგილისათვის, სადაც მამახემს სა-





ზინა ქონდა ჩაფლული. ცდაც ბევრსანს არ მოძინდა და ვინახე უეცრივ, რომ მამახეში რაღაც ორმოს ძეგავსი ხვრელიდან ამოდგობ. მე სუნთქვა შევწყვიტე, გავინახე, რომ ვენახე ვისმე უთუოთ ძველარი ვეგონებოდი. ბებრეცანა, როგორც მოგახსენეთ, გამოძრძანდა იმ სოროდან და დაიწყო მიწით ამომსება იმ ორმოსი, მისწორ-მოასწორა ვეგლათფერი, მიგავ-მოგავა იქაობა თავისი ბამბურა კუდით და თითქო აქ არაფერიო გაუდგა გზას. მე თვალს არ ვაშორებდი ვეგლას მის მოქმედებას და თუ ჩემში რაიმე ეშმაკობა მოიპოება ახლა, ეს იმდღევანდელი ნახვავლია.

აქ უმჯავლათ საზინა უნდა ეფლას-მეთქი, ვიფიქრე მე და ორმოს დაუწყვე თხრა. ორმოს მიწა და ხავსი ქონდა დაყრილი და მის ქვეშ აუარებელ ოქროსა და ვერცხლს წავაწყედი. რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არა ეოფილიეკეს: ოქროსა და ვერცხლის გარდა, სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვები. სამჯელათ ჩემი ცოლიც იქ მივივანე და მთელი დღე და ღამე მოვუნდით იმ განძის იქიდან გადატანას ერთს მიურუებულ ადგილას. ჩვენი ცბიერი მახვი-კი ამ დროს ძალიან თათბირში იყო ძავის მეგობრებთან და შემწროუნდებით, რომ გაიგოთ, რაც იმათ მაძინ გადასწყვიტეს. ტუხამ და დათვმა გავხავნეს აქეთ-იქით წერილები და ვეგლას ოქროსა და ვერცხლს ჰპირდებოდენ ვინც-კი ამათ ჯარში ჩაეწერებოდა.

მამახემსაც არ ეძინა ამ დროს — ესეც მხარში უდგა ამ



მოღალატეებს და ამხნეებდა ყველას. არც ჯაფა და არც  
 ღონე ამას არ დაუხოგავს თავისი საქმის განსახორციელებ-  
 ლათ. ამას თავისი განძის იმედი ჰქონდა და იმაზე არა  
 ფიქრობდა, რომ იმის სიმდიდრეს შეიძლებოდა ერთ დღეს  
 ჩაიღულის წყალი დაეღია. ეშმაკმა ბევრი მიიმხრო ვიდევ...  
 ოქროს ბევრი რამ შეუძლიან, სომ მოგესსენებათ. სულ  
 1200 მეომარი შეეგროვებინათ, ამთავ თავიანთ მეთაურე-  
 ბივით დაედრინათ ი განსახორბელი ზირი და საცოდავთ  
 კბილებს აკრახუნებდნენ. ყველა ნათესავებს დათვისას და მგლი-  
 სას იქ თავი მოეყარათ. ასე გაშინჯეთ მახვებიც-კი დაჭნი-  
 რებოდნენ შველას.

დაპირებისამებრ ფულები წინათვე უნდა მიედოთ. გა-  
 სწია მამახიმმა თავისი საიდუმლო ადგილისკენ. ორმოს და-  
 უწყო თხრა, აქეთ მიაწუდა, იქით მიაწუდა და ზირს ვატა  
 უცა, როდესაც სასინას ვედარ მიაგნო. ბებრუკანა ცანცან-  
 მა აიტანა, სასოწარკვეთილობამ შეიპყრო და იქვე სა-  
 ცოდაკმა სული განუტევა. საწუალი ბერიკაცი! დღე და დამ  
 მოსვენება არა მახეს, როდესაც მოვიგონებ ხოლმე, რომ  
 მისი სიკვდილის მიხესი მე კავხდი; სინიღისი მქეჯნი-  
 და, სული შესუთებოდა, მხოლოთ იმითი-და ვნუკეშობდი,  
 რომ ჩვენი დიდბული მეფე დავისსენი სიკვდილისაგან და  
 მისი მოწუალება განათლებს-მეთქი ჩემს ცოდვიან გულსა.  
 და ახლან სომ ჰხედავთ რა ეოფაშიაცა ვარ, რა მოძვადლი  
 მოძელის ერთგულობისათვის. ოჰ, დაილოცა დიქროთ, შე-





ნი სამართალი, მეუის მოღალატენი ტუხა და ბოსვერს უნ-  
 და ცოცხალი დაფარებადენ და სწულ ერთგულ მონას  
 ძელიას-კი სასწრაფელაში უნდა გაუწარონ თავი. მამ რა  
 კეკონა, ჩემო უბედურო თავო, განა სიკეთისათვის მადლო-  
 ბას გადაგინდიდა ვინმე ამ ძაღლ წუთი-სოფელში?

მათ დიდებულებათ განძის ხელში ჩაგდება მოისურვეს.  
 ძელია მიიწვიეს ახლო და ჩუმათ ჰკითხეს:

— სად არის ახლა ის საზინა? უველაფერი ნამდვილათ  
 კვითხარი, ის ძალიან საჭიროა ჩვენთვის.

— რა სიკეთეს მოველი თქვენგან, რომ ახლა მე ის  
 ადგილი გაჩვენოთ? სიკუდილი მაქვს გადაწვეტილი და ჩე-  
 მი და თქვენი მოსისხლე მტრები-კი სინაზულით მოელიან  
 იმ წუთს, როდესაც მე სასწრაფელაში თავს გამაყოფინებენ,  
 წარმოთქვა ძელიამ.

— არა, არა, ბრძანა დედოფალმა, ისინი ამას ვერ  
 მოესწრებან. მეფე მოგანიჭებთ თქვენ სიცოცხლეს, ამ კა-  
 მათ უველაფერს განატივებთ და თქვენც მომავალში მანაც  
 ჰკვიანათ მოიქეცით, სიმართლითა და ერთგულობით მოი-  
 გეთ მეუის გული.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სიმდიდრე მოელის ჩვენ  
 კეთილს მეფეს. ამისთანა მდიდარი და დიდებული მეფე აღა-  
 რაზინ იქნება მთელ ქვეყნიერობასე. თქვენ მანიჭებთ სი-  
 ცოცხლეს და მეც მოგანიჭებთ სიმდიდრეს, რომ უფრო  
 უსრუნველ ჰყოთ თქვენი სამფლობელო, თქვენც ისაროთ



და საწყალ ხალხსაც გაჭირების ოფელი მოსწმინდოთ, —  
თქვა გარეწერმა.

— ვითომ არ ვგატეუებს ეს შეჩვენებული? ამასე ემძა-  
კი ხომ არსად მოიხივება, ეჭვით დაიწყო ღაზარაკი ლომმა.

— მართალსა ბრძანებით, თუმცა იგი გაფუჭებულ სა-  
ხელს ატარებს, მაგრამ ამ წუთში-კი მართალსა ღაზარაკობს,  
შენიძნა დედოფალმა. ღაზარაკში ეტეობა, რომ არა ტყუის.  
თავისი მეგობარი და ძმისწული მხვი არ დაინდო, ძამის საფ-  
ლაგი სულ გადმოატრიალა, სხვა მეგობრებსაც თავი მოსჭრა  
და ამას შემდეგ განა შეიძლება მას არ დაუჯეროთ! მაგას  
ხომ შეეძლო სხვანაირათ მოქცეულიყო — მეგობრები დაევა-  
რა და მტრები-კი გამოეცხადებინა მოღალატეთ. არც ისე-  
თი სულელია, რომ ასე ურცხვათ იტყუოს.

ლომს სხვა დარდი ჰქონდა, მას უნდოდა იმ განძის  
სელში ჩაგდება და მელიას ვეელაფერი აზატოვა.

— კიდევ ერთხელ და უკანასკნელათ დაუჯერებ მას,  
თქვა მეფემ. მაგრამ იცოდეს-კი მაგ გაიძვერამ, რომ, თუ  
ასლაც მამატეუებს, მე მას დაუფშვნი, როგორც მიწას  
და მის მოდემას მთლათ გავანადგურებ.

— ანგრე იუვეს, დიდებულო მეფე! თქვენ მე მანიჭებთ  
სიცოცხლეს და მეც მადლა ღმერთსა ვუიცამ და ძირს თქვენ  
სახელს, რომ ერთგულობაში და მონობაში დაკწურავ ჩემ  
სიცოცხლეს თქვენი დღეგრძელობისათვის. და რაც შეეხება





იმ სიმდიდრის სინამდვილეს, ამასაც სომ ძალე დაწმუნ-  
დებით, თქვა ცბიერმა.

ლომმა ანტიკვა ყველაფერი და შელთა შეუდგა იმის ასს-  
ნას, თუ როგორ შეიძლება იმ ადგილის ზოვნა, სადაც სა-  
ზინა მარსია.

— ტყეში ერთი დიდი ვერხვი დგას, ამ ნიშნით, რომ  
იქ დიდი ბალახიც არის ამოსული, ამ ვერხვის ფესვებს და  
ფესვებს შუა ორმოა მიწით და სახსით ზირ-მოკრული და  
ამ ორმოში ინახება ის სიმდიდრე. არამც-და-არამც მოსა-  
მსახურე არ გაგზავნათ. თვით შეუე და დედოფალი, რომ  
მიბრძანდეს, ძალიან კარგი იქნება. ორმოს ძალიან ღრმად  
უნდა მოთხრა. ჯერ სავსეს წასწუდებით და ქერე-კი ძვირფას  
ქვებს და აუარებელ სიმდიდრეს. სხვათა შორის იქ ერთი  
მარგალიტებითა და მსხვილი თვლებით შემკობილი სამეფო  
გვირგვინი ურევია და ამას კთხოვთ დასამძკვენებლად და  
საწყალი ძელის სახსოვრათ ჩემს მფარველ მშვენიერ დე-  
დოფალს მისთავაზოთ, თქვა შეხვეწებულმა.

— უიძინობა არ იქნება, თქვენ უეჭველად უნდა წა-  
მოკვეყეთ იქ, თორემ მარტო ჩვენ ვერ მივაგნებთ იმ  
ადგილს.

ეს ცოტა არ იყო, არ უჭანია ძელის.

— ბატონო, ქაჯეთის ქვეყანაში სომ არ არის დაფ-  
ლული ის საზინა, თქვა ცბიერმა. აქვე ანდო განლაგს და  
ისეთი ნიშნები მოგახსენეთ, რომ ძალე იპოვნით. ჩვენ-კი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რომ ერთათ გუნახოს ხალხმა, დიდებული მეფე, გაბრუნ-  
სამენ. იტვირთნ მეფე ისევ კაიპერს მელიას აჭოლიათ.  
ჩვენ ასე მოვიქცეთ: თქვენ წაბრძანდით განძის ამოსაღე-  
ბათ და მე-კი ნება მიბოძეთ წავიდე სალოცავათ და ჩემი  
ცოდვების მოსანახებლათ. მერე დავბრუნდები იქიდან და  
მხეცები სულ სხვა თვალთ დამიწეებენ უურებას. მაშინ სა-  
დაც გუნებოს იქ გამოგეგებით, ჩემო ძვირფასო მეფე.

— ოღონდაც-კი შენ ცოდვები მოინანიე და მე სელის  
შემშლელი არ ვიქნები, უბრძანა ლომმა, — ვხედავ, რომ შენ  
კეთილ გზას ადგები და ღმერთმა სელი მოგიძარტოს. გზა  
მშვიდობისა, ჩემო ერთგულო ეხავ.

აღ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)







## ლ ა მ უ რ ა .



**თ**ბილი, სასიამოვნო თიბათვის  
 საღამო იყო. სოფელი დაწინაწე-  
 ბულიყო. ხალხის, მუშების, ფრინ-  
 კელთ ქღრინაძული, აღარ კანსმო-  
 და; ხანირი კაა ხანია ჩარეკილი,  
 წვრილ-ფენი და სხვილ-ფენი და-  
 ბინავებული იყო. მხოლოთ აქა-  
 იქ დამსნდარიყვენ სოფლის დედაკაცები  
 და ლაპარაკობდენ: მათი ლაპარაკი ხან ჩურჩულათ გადიქ-  
 ცუოდა და ხან-კი ზოგიერთა მოლაპარაკეს ხმა ამბლდე-  
 ბოდა და მაშინ ყურს მოჰყრავდით: «უი, ქა, ეგ რა სათქმე-  
 ღია». «ის ჩემი ერთათ-ერთი შვილი არ მომიკვდებ». «მი-  
 სამარას ის თავის ქერქში ეგდას, თორემა» — და ბევრს  
 ამისთანას კავიონებდით, ყური რომ დაგეგდოთ.

სოფლის პატარა გოგო-ბიჭებიც იქვე შორი-ახლოს  
 ერთ კარმიდამოზე, შეგროვილიყვენ და ძერბობას თამაშობ-  
 დენ. ერთს დედაიწასე მოეკეცა და სხვები კუდი-კუდს ჩა-  
 მწკრივებულნი, დედათი წინ, უვლიდენ ძირს მჯდომს, რო-





ქართული  
ლიტერატურა

მელსაც ძერას უძახდენ. უნდა გენახათ რა უტყუარა, — ცუდი  
ლიდამ მოწვეტილი სიცილი მოისმოდა სოღმე, რა მხი-  
არულებით უბრწეინავდათ სასე ბავშებს, როცა ძერა წამო-  
ხტებოდა და ბოლოზე მდგარს გამოეკიდებოდა დასაჭერათ.  
კარგა ხანს ითამაშეს ასე ბავშებმა, ხანამ არ დაიღალენ. და-  
ღალვა და მოწვენა სოგს ადრე დაეტყო, მაგრამ სოგს კი-  
დევაც უნდოდა თამაშობის გავრძობა.

— მე აღარ ვითამაშობ, — დაიძახა ერთმა პირ-ხმელმა  
და ფერმკრთალმა, თერთმეტის წლის ბავშმა, გლეხის შვილ-  
მა ლუკამ.

— რატომა, ცოტა კიდევ ვითამაშოთ, და მეზე სხვასე  
გადავიდეთ — უთხრა მეორემ, იმისვე ტოლმა, მხვილმა ვა-  
ნომ. ვანოს სასე ანთებოდა, გახურებოდა თამაშობისაგან,  
სიცილისაგან, თუელი დასდიოდა, მაგრამ არა ცხრებოდა,  
თამაშობა კიდევ სწუროდა.

— აღარ მინდა, — მიუგო ლუკამ.

— ახლა ნუ-კი დაგვიძლი თამაშობას.

— თქვენ ითამაშეთ-რა!

— ბიჭებო, ლუკა იძახის, თამაშობა აღარ მინდაო, —  
მოუბრუნდა ვანო სხვებს; მამ მოდი და ჩვენ ვითამაშოთ,  
თუ იძახ არ უნდა.

— აღარც მე მინდა, გაიხმა მესამე ხმა. აღარც მე,  
აღარც მე — მოაულოეს შედი-სედ სხვებმაც, და ბოლოს თა-  
მაშობის მომხრე ვანოს სამი კაცი აღარ შეჩნა.





— აღარც მე მინდა, რასან აგრეს, დაიუვირს ბოლოს  
 გულ-ნაკლულმა ვანომ, — მეც დავიდალე. მამ მოდით, ბი-  
 ჭებო და, ჯერ მინ წასვლა ადრეს, «იწილო ბიწილო»  
 ვითამაშოთ, არც სირბილი და არაფერი, — არც ცხრებოდა ვა-  
 ნო. ბავშვებს დასვენება უნდოდათ, თამაშობა მოსწყენდათ,  
 მაგრამ ვანოს სმას სხვებმაც ბანი მისცეს, დასხდენ და «იწი-  
 ლო ბიწილოს» თამაშობა დაიწყეს. წელანდელი მსიარული  
 კისეისი, სმა მადალი წარსარი ამ ახალ თამაშობაში დიმი-  
 ლათ გადიქცა; თამაშობას ისე გაფაცვიცებით ვულარ ადევ-  
 ნებდენ თვალ-უურს, როგორც წელან. «იწილო ბიწილოს»  
 მთქმელიც რადაც წარმაცათ გაიმახოდა: იწილო, ბიწილო,  
 შრომანო, კორიტილო... არც სხვებს ეტყობოდა თამაშო-  
 ბაში ხალისი და გულისუური. მთქმელი «იწილო ბიწი-  
 ლოს» რომ გაათავებდა და რომელიმე ფეხს ხელს დაადებ-  
 და. «ჩაჯექ შენაო» ფეხის ზატრონი ვერც-კი შეამჩნევდა,  
 და მიღების მაგიერ, ფეხი ისევე გამოჭიმული ჰქონდა.

— ეი, შენ გერგო, — დასმხსებდა მთქმელი და წაადე-  
 ბინებდა ფეხს. ასე უგემურათ მიდიოდა თამაშობა.

ეს ის დრო იყო-მეთქი, როგორც წელან ვთქვი, რო-  
 ცა სოფელი ხმაურობის და მუშაობის შემდეგ დაწინარებას  
 ეძლევა ხოლმე, როცა ეველა სულიერი დღის ჯახით და  
 ფხიწლობით მოქანცული დასასვენებლათ ემსადგება, მიღს  
 ავირებს. მაგრამ ეველა ცხოველი დღისით არა ფხიწ-  
 ლობს, არა მუშაობს. ბევრია მათში იმისთანა, რომელსაც



დღით მუშაობის და ღამე დასვენების მაგიერ, მთელი დღე სძინავს სადმე, ბნელ მივარდნილ ალაგს, სოროში, სახლის ჭერში, ხის ფუღუროში, და ჩავა თუ არა მსე, დადგება თუ არა ღამე— ანებებს თავს თავის საფარს და გამოინაგარდებს საჭმლის სამოვნელათ. ღამის ჰეპელეები, რწეილი-ჟარიები, ჯუჯუშკალები, ღამურაები და სხვანი.

ბავშვები ამ უგემურ თამაშობაში რომ იყვენ, უცბათ გაუფრინათ ზედ თავზე ღამურამ და გაჭერა სიბნელეში.

— დაინახეთ, ბიჭებო, ღამურაი?! ი ვერანმა ზედ თავზე არ გადაგვევლო ეე! მერე რა ახლოს მოფრინდა! თქვა ლუკამ.

— რადროს ღამურაა, თუ ვთამაშობთ, ვითამაშოთ, უთხრა ვანომ ლუკას.

ამ დროს ხელმეორეთ გადახულო ბავშვებს თავს ღამურამ.

— აგე კიდევ, გაიმეორა ლუკამ,— ეგ ოსერი თავს არ დაგვეტრიალებს!

ღამურა ახლა-კი თითქმის ყველამ დაინახა; თამაშობა კიდევ გადახვიწვდათ, ყველა მალლა შესხერებოდა, ღამურას დანახვა უნდოდა.

— ახლა საცაა კიდევ გამოგვიფრენს, მალე-კი აღარ მოგვეცილდება,— თქვა ლუკამ, და თითონაც გულიანური მალლისკენ ჰქონდა მიტყეული.

ამათ უნდოდა ვანოს ამხანაგების უურადლების მიწე-





საქართველოს  
საქართველოს

რობა, — თამაშობის გავრძობა, მაგრამ რომ ვერანს გასადა, თითონაც ცნობის მოუვარეობამ ვაიტაცა და ამხნაც ღამურანს დასანახავათ მაღლა ცქერბ დაიწყო.

— აკე, აკე, დაიძხა ერთმა ზატარს კვიძატმა გოგომ, და თითი ღამურანსე უჩვენა, რომელიც იქვე კაკლის ქვეშ დაფრინავდა.

— დახე, მამახემმა მითხრა, ღამურანს ბნელაში უუვარს ფრენაო, და კაკლის ჩრდილში არ დაფრინავს! თქვა ლუკამ.

— მოდი ბიჭებო დავიჭიროთ, — დაიძხა ვანომ.

— მამახემმა მითხრა, ქუდი რომ ააგდო, ბნელი უუვარს, მაშინვე შიგ შეძვრება და ქუდი ჩამოვარდება, თან ჩამოჭყვებაო, თქვა ლუკამ.

— დავიჭიროთ, დავიჭიროთ, მოაძახეს სხვებმაც, წამოხტენ ფეხსე და ნაბდის ქუდები მხათ დაჭირეს.

— აბა ვინმლო, რახან ეგრეა, ქუდები კარგათ ავაგდოთ, გაამსწევა ამხანაგები ვანომ.

დიდი ხნის ლოდინი არ მოუხდათ, ღამურანს გადაეკლო ბავშებს ფრენით, და გახარებულმა ბავშებმა, მოჭკრეს თუ არა თვალი, კივილ-ხივილით ქუდები მაღლა შეისროლეს, მაგრამ არც ერთში ღამურა არ მოჭკვა.

— ბიჭებო, რომ დავიჭიროთ კიდევ, მერე ვინ მიეკარება, ჩამოყრბ ლუკა: ასე ვამიგონია, იმისთანა კებნა იცის, რომ თუ კაცს დააფრინდა ხორცსე, აღარ მოსცილებო.

— გინახავს ღამურაი, ლუკა?! მიუბრუნდა კვიძატი გო-



გო ლუკას, როგორც უველასე მეტის მცოდნეს დამუწონს მესხებს: «ნეტა ერთი დამხანაზა როგორია და!»

— როგორ არ მინახავს; თავს რომ ფრთები გამოსანა, სწორეთ ის იქნება. კაცს ძილის დროს ტვიანსავით მიაჯდება და სანამ სისხლით არ გამდება, მანამ არ მოსცილდება.

— სტუეის, ლუკა გატუეებს, ჩაერთა ვანო: «ვის გაუგონია, რომ ერთი ბეწვა დამუწონა კაცს მისჯდომოდეს, და სისხლი ამოეწოვოს.

— არა, მამახემსე მეტი იტი აი! იმდღესაც ამბობდენ, რომ კაციაანთ ანდრუას ძილში დამუწონა მიჭკროდა და სისხლი ამოეწოვა.

— აბა დათასა ვკითხოთ, ვინ ძართალია ამ ჩვენ ორში, ის რომ სასწავლებელშია!

— ჭკითხე რა!

— აბა დათა, აბა სად არის, აქლავკლავდენ ბავშები.

— აკერ, მიუთითა ვანომ, შესედეთ როგორ გამორბის ჩვენსკენ.

ერთის წამის შემდეგ ქაქანით მოირბინა დათამ ბავშებთან.

— რას დამდვარხართ, რატომ აღარ თამაშობთ?! იკითხა ახლათ მოსუღმა დათამ: «მოდო თამაშობა რაზე გავძართოთ, დედახემსა წელან მამაცდინა, რადაცა საქმისათვის მეძანდა.





თარგმანი  
ბიზლიჩისაჲს

— მეც ბევრი ვხევე, და რო აღარ უნდათ, დავიღა-  
ღეთო, და ღამურას გამოუდგენ, უზასუნა ვანომ.

— როგორ ღამურას?!

— აი ლუკამ ვეელა შეაშინა, იძისის ღამურა კაცის  
სისხლსა სწოვსო, ვისაც ხორცსე დაჯდება, სანამ სისხ-  
ლით არ გამოდგება, აღარ მოსცილდებაო; მე-კი ვეუბნები  
ტყუილია-მეთქი.

— ლუკას ტყუილი უბძნებია, გასანძროთლა დათამ:  
ღამურა კაცს არას უბავებს.

— ჭო, დიხს, არას უბავებს, მამახემსე მეტი იცი—  
წაიბურტყუნა ლუკამ.

— მეტი იცის მამ! მამაშენი სწავლობს სკოლაში, თუ  
დათა?— შიამხსა ვანომ.

— მერე რა ვუეო, რომ სწავლობს, მამახემს თვალთ  
უნახამს— და ეკ იძისის არაო

— დაიცა ბიჭებო, ჩაერთ თვითონ დათა, — მე ვამევი  
ლუკას: ჩემმა მასწავლებელმა მეტი იცის, თუ მამაშენმა?  
მიუბრუნდა დათა ლუკას.

ლუკამ აქ ველარაფერი უზასუნა და დარცხვენილი გა-  
ხუძდა.

— შენ თუ მამაშენმა გითხრა, მე კიდევ მასწავლებელ-  
მა შიამბო, განაგრძო დათამ.

— გკითხარი, დათა, რა გიამბო მასწავლებელმა, მი-  
უბრუნდენ დათას ბავშვები.





— რა, და ისა, რომ, რაც სოფელში ღამურასე რეზ-  
რები გაგოგონათ ნახევარსე ტუილიათ. ვის უნახავს ღა-  
მურასავან სისხლის ამოწოვა. რაკი ღამურა ღამასი არ არის  
და ღამ-ღამ დაფრინავს, იმიტომ მოუგონეს ასეთი ცუ-  
დი ამბები. ღამურა დეკნისა-კი არა მადლობის ღირსიათ.  
ის რომ არა ეოფილიყო, ჭია-ღუა ჩვენ სესილს, ბოსტ-  
ნებს სულ გაახრებდა. წვილი-ვარიები, ჯუჯუქებლები და  
კიდევ სხვა მწერები ღამით დაფრინავენ, ღამურა იმათა სჭამს  
და ჩვენ ბაღებს გაკორტნისავან არჩენსო. ამიტომაც ღამუ-  
რა-კი არ უნდა გეჯავრებოდეთ, უნდა გიუვარდეთ, ის ჩვენს-  
კენ არის, ჩვენ გვეძველება, ჩვენ-კი ის გეჯავრება და ვდეკ-  
ნითო.

— მე კი არ ვიცოდი, რომ ერთი ბეწვა ღამურა კაცს  
ვერას აწეუნდა, განა, დათა, — შეაწევეტინა ღამურა ვანომ.

— მაშა! უნახუნა დათამ ვანოს და განავრძო: «კლასში  
ვსხედვართ, მასწავლებელი დადის და თან ღამურასე გვე-  
ღამურაგება. უცბათ ჩემსე თითი მოიშვირა.

— აბა, დათა, მითხარი ღამურა ფრინველია, თუ არაო?

— მერე რა უთხარი? — ჭკითხეს ბავშვებმა.

— რას ვეტყოდი, ფრთები აქვს და დაფრინავს, ფრინ-  
ველია-მეთქი.

— არა ფრინველი არ არისო; ღამურას თუძვა ფრთე-  
ბი ასხია და დაფრინავს კიდევ, მაგრამ ფრინველი არ არი-





სო. ღამურა ბარტყებს მუქუს აწოკებს და იმისთანავე  
 ველებს ეკუთვნის, რომლებიც რძით იზრდებიანო, როგორც  
 ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხენი, ძაღლი, კატა და კიდევ სხვა-  
 ბიო.

— მეგრე მე დამსვა და თვითონ მასწავლებელი მოგვი-  
 ვა: «საკვირველი ფრინველია ღამურა: თავს კიდევს ჭკავს,  
 და არცა ჭკავს. თავს ფრთები არ ახსნა, ღამურას-კი ორი  
 თავისტელა ფრთები აქვს. თავს მოკლე, ცქვიტი ურები  
 აქვს, ღამურას-კი ჯორივით წაჭკძელებია ურებიო».

ამ სიტყვებსე ბაჰმებმა გადინახნარეს.

— ღმერთმანი, სწორეთ ეგრე კვითხრა მასწავლებელ-  
 მა, ჯორივით წაჭკძელებია ურებიო. ფრენაში მერცხალს  
 არ ჩამოუკარდება. დაიღლებს და უკანა ფეხებით სის ტოტ-  
 სე, ან ეკვარში სადმე ჩამოეკონწილება, დაისვენებს და მე-  
 რე ისევ გაფრინდება. დედამიწასე-კი სულ არ შეუძლიან  
 სიარული, კუც-კი გაასწრებს. ერთბეწვა თვალები აქვს,  
 და ისე კარგათ ვერა ხედავს, მაგრამ კარგათ ესმისო.

— იმოდენა ურებით ვერ გაიკონებს თუ! ჩაიციან  
 ვანომ. სხვებიც გაიღრიტენ ამ შენიშენასე, მაგრამ დათას  
 ღანაზრაკი აღარ შეაწვევებინეს, ღამურას ამბის გაგების სურ-  
 ვილმა ისინი ძაღლიან გაიტაცა. დათამ ისევ განაგრძო მას-  
 წავლებლის ნაამბობი:

«როგორც თვითონ არის უცნაური სანისა, ისე უც-  
 ნაურია მისი ცხოვრებაც. მეტ თავის სიცოცხლეს ძიღში



ატარებს. დადგება თუ არა შემოდგომა, დამურაები ბუნაკებში მიეცეძიან ძილს და ჩასუტულებს, მთელი სამთარი სძინავთ. ძერე როგორც სძინავთ, ეირამლას ჩამოვიდებიან უკანა ფესებით და ისე მიიძინებენ გასაფხულადის. სძინავს მთელი სამთარი, მისთვის არც ჭამა, არც არაფერი. სამაგიეროთ დადგება გასაფხული, დამწყებს ჭიანჭველ ფრენას თუ არა, დამურავს გამოიდვიძებს, რაც სამთარში საჭმელი დაჭკლებია, სულ ახლად შეისრულებს. იმდენს მწერებს ჭამს ეოველ დამე, რომ თუ ან წვიმა არ არის, ან არა ცივა, მუცელს ძლივს-და დაათრევს. წავა და ისვენებს, გათენების წინ ერთს კიდევ გამოინავარდებს სანადიროთ და ძერე მთელი დღით ისევ დამძინებს. ანკი რა ჭქნას, რომ ბევრი არა სჭამოს. მთელ სამთარს ძილში ატარებს, საფხულშიაც წვიმა-სიცვიეში ბუდიდან ვერ გამოდის, რაღა დრო დარჩენია. ამ ცოტა ხანში რაც შეუძლიან ჭამს, ძალ-ღონეს, ხორცს სამთარისთვის იკრებს.

ცხოვრობს დამურა ხის ფულუროებში, ან კაბხარულ კედლებში, ან სადმე ძეუდრო, ბნელ და მშრალ კუთხეში. ამისთანა ალაგს მოიყრიან დამურაები ბლომათ თავს და ატარებენ სამთარს ერთათ. დამურას ძერე სუნი უდის, ხორციც უგემური აქვს, ამიტომ ძტერი მას ცოტა ჭყავს. კატასაც-კი ეჯავრება. დამურას სიცვიისა და ადამიანის ძეტი ძტერი არავინა ჭყავს. კაცმა-კი სწორეთ დამურა თავის დღეში არ უნდა მოჭკლას. თითო დამურა დამეში ოციოდ





ჭიანს მანც დაიჭერს, ახლა რამდენიც დამურსა, იმდენიოცა  
ჭია დამეძი, სომ ბევრი გამოვა. აი ამდენს კოლოს, ქუნქ-  
ლას და სხვა მავნებელ ჭიანს უოკველ დამ თავიდან კვამო-  
რებენ, ღამურაები.

— ეს რომ გვითხრა, მერე მოგვიბრუნდა მასწავლებე-  
ლი: «დაიხსნამეთ რაც გითხარითო; ახლა სომ სედავთ, რომ  
ღამურს არც საძიძია, არც სისხლის მსმელი, არამედ დი-  
დათ სასარგებლო ცხოველია. ახლა იმედია ღამურას დვენას  
აღარ დაუწეებთ; კარგს იხამთ რომ ბაღში, ან ახლო-მან-  
ლო საღმე სესე, ფულურთან კუნძებს ან ჰატარა ურთებს და-  
უდგამდეთ და ღამურას შეინვეკდეთ. მაშინ თქვენ ბაღებში  
ხესილი აღარ გაუჭტდებოდა მწერებისაკან, და უფრო კაი  
მსხალს და ვაძლს მოისხამდენო».

— აი რა გვამბო მასწავლებელმა, კიდევ სხვა ბევრს  
რადაცუბსაც გველანაჩაქა ღამურასე, მაგრამ სოვი არ და-  
მსხმოდან, დათავა დათამ.

ბავშვებმა ეველა ეს უურადღებით მოისმინეს, დათასაკან  
ბევრი რამ გაიკეს ღამურასე და ძლიერ უკვირდათ.

ბოლოს სინუძე მანც ვანომ დაარღვია და ნიშნის  
მოკებით ლუკას მიუბრუნდა.

— ავი დათამ ალ-ჯერი იცისო, მამანემმა თვალითა  
ნახაო.

ლუკამ შეუბღვირა და თავისი მსრ.ით დატონვით უთხრა:  
«გაუკეთე თქვენ ბაღში მამ ღამურას ბუდეო».





— მაშ არ იცი გაუგებებ, დამატა ისეთი ბუდე გამო-  
უკანვლო, რომ სულ ჩემ ლოცვაში იყვეს.

— მეც გაუგებებ, მეცა, მეცა — დაიძხეს სხვა ბავშებმაც.  
ამ დროს სახლში წასვლის დრომაც მოატანა. ქალებმა  
ღაზარბაგით გული იჯერეს და შინ წასასვლელათ წამოიძაღენ.

— შვილო, ვანო, წამო, დედა გენაცვალოს, სახლში,  
ძილის დროა, შვილო, გეყოფა თამაშობა, სოკიც სკალ  
ითამაშე. გამოიქე, სკალ ადრე უნდა ადგე, — დაუძახა ვანოს  
დედა.

სხვა დედებმაც თავთავიანთ შვილებს დაუძახეს. მაგრამ  
სანამ ბავშები ბოლათ დაიძლებოდენ, ერთხელ კიდევ გა-  
ისმა მათი ქრიაშული, ერთხელ კიდევ მოედო არე-მარეს  
მათი მხიარული კისკის-ხარხარი: ბავშები ერთმანეთს ძილი  
ნებისას ეუბნებოდენ; სხვები ზედ მიაყოლებდენ, «რწეილი  
კენისაო» და გამოუდგებოდენ ერთმანეთს მოსახმეტათ: «აი  
ახე გიკბინოს ამბლამ რწეილმა, აი ასეო».

მხიარულათ დაწეობილი თამაშობა, ცოტა ხნის გაუ-  
ჩების შემდეგ ისევ მხიარულათ დასრულდა და დღევანდელ  
სადამოთი კმაყოფილი ბავშები თავ-თავიანთ სახლებიხვეწ  
წავიდ-წამოვიდენ. სოლო ლუკა აღარ გაერია ამ უკანასკ-  
ნელ მხიარულ გამოძვიდობებაში და თავ-ჩაღუნულმა სახლს  
მიამურა. დათას-კი ამაყათ თავი ძაღლა აეღო და დინჯათ  
ისიც სახლისკენ მიდიოდა. მას უნაროდა, რომ მსწავლებ-  
ლის ნათქვამი სკოლაში უსწავლელ ამხანაგებს გადასცა და  
მათ ცოტაოდენი ცოდნა შესძინა დაძურას შესახებ.





## ერთხელ ბაკლა.



ერთ სახელათ „ტურას“ ეძახდენ, რადგან ბევრი და დაუჭრელი ყურები საშინლათ უგეანდა ტურისას. მოწითლო წვრილი ცეცხლივით თვალები ქურდობას უმტკიცებდენ. თუმცა ქურდს ეძახდენ, მაგრამ მუდამ-კი მშიერი და ფერდი-ფერდს მიკრობილი დალაწლავებდა. საკვირველი იყო, რისგანლა ედგა სული, რა აცოცხლებდა, რა არჩენდა? ბევრი ძაღლებს-კი ამრავლებს და იმას-კი აღარ ფიქრობს, თუ იმათ ჭამაც უნდათ და შენახვაც. ტურასთვის ერთხელაც არ უჭმევია არავის სახვარი და თავის სიცოცხლეში არც გამაძლარა. შიმშილისაგან შეწუხებული ან სოფელს ირგვლივ უფლიდა, ან სადმე საბძღების ძირში მკედარივით ეგდო და ეძინა.

თუ სოფელში ან ქორწილი ჰქონდა ვისმე და ან წირვა გადასახდელი, და საკლავი სადმე იკვლოდა, ტურაც შორი-ახლოს იდგა და ილოკებოდა, ელოდა იობის მოთმინებით, სანამ ვინმე ვაიმეტებდა და ფაშის ან წელების ნაკლეჯით მოიგონებდა.

სისხლიანს მიწასა ჰლოკავდა და ხორცის ნარეცხს წყალსა სლა.



პაედა. თუ ვისმეს სიგამხდრით ან ცხენი ჩაეხრჩობოდა, ან კუტათ ჩაეარდნილი საქონელი დაეხრჩობოდა, იქნება მაშინ რგებოდა რამე ტურას, ისიც მაშინ, როცა სოფლის ძაღლები დაძლებოდნ და ლეშს თავს გაანებებდნ. უმისოთ-კი საიმისოთ რას გაჰხდიდნ საქშელსა! ყველა იმას უღრინაედა და უტეედა.

როცა სხვა ძაღლები დაძლებოდნ და ლეშს თავს დაანებებდნ, ტურას მაშინ-ლა თუ ეღირსებოდა რამე, ისიც გამოხრულ-გამოკაწრული ძელები.

აითრეედა ტურა ერთ ძეალს და მიახოხიალებდა სადმე მოთარებულ ადგილისკენ: — ან ნაოხარ საბძელში, ან ვისიმე ჩამონგრეულ სათონეში, ანა და ვენახის ღობეების ძირში, სადაც კაცის და ძაღლის თვალი იმას ადვილათ ეგრ შენიშნაედა, მერე წამოუწებოდა და ღრღნიდა მთელს დღეს. დიალა, სულ შიშშილს ძეალი სჯობდა, ცოტა ხორცი მაინც ეკვრებოდა და შიგაც ტენი იქნებოდა, პირის ჩასაგემრიელებელი.

საშოვარზე გამოსელას ისე დღე ვერა ჰბედაედა, როგორც ღამე. ყველას სანაგვე კარგათ იცოდა. ჩიჩქნიდა ნაგაგს, ეძებდა პურის ნამცეცებს და გადმოყრილ ძელებს, ტყაეის ნაჭრებსა და ქალამნის ჯღანებს და ყოველივე ამას მადიანათ შეეკცეოდა. თუმცა-კი ერთხელაც არ გაძლომია მუცელი.

ან-კი რა გაძლობდა? — იმისგან ნაპოენი ნამცეცები ჩიტსაც ვერ აპურებდა და აბა ი სიყმილისგან გადამღრძეალს რა გაუხდებოდა. და ან რომელი გლეხი გაატანდა ნაგაგს იმდენს ნახორხალსა?

ასე დაეთრეოდა სოფელში მურა მშიერ-მწყურვალი. მაძღრებისათვის სიმაძღრე ჰშურდა და თავისაეით მშიერება დასანახაეათ ეჯავრებოდა. პატარა ბაღლები უყვარდა და სულ იმათ შესტრიალებდა, თუ ხელში პურს დაუნახაედა; ბაღლებიც ან ცოტ-ცოტას უციკქნიდნ ხოლმე, ან და თითონ ასწაპნიდა ხოლმე ხელიდან პურს და გაიმელუხნებდა, ვითომ და აქ არაფერიო.





აღმათ ღრღები ამიტომ თუ ეძახდნენ ქურდსა, სულ უჯავრდებოდნენ და უტატანებდნენ.

ძაღლები-კი არას ერჩოდნენ, კარებზედაც რომ გაეარნა; არ ეცი თვალი ჰქონდათ შეჩვეული, თუ ეცოდებოდათ. თუ გულ-ფიცხი გამოდგებოდა რომელიმე ძუენა ან ხვალი და დაეცემოდა თავსა, ტურა მაშინვე გულაღმა წაუწვებოდა, ულოკდა ტუჩებს, ყელს, ცხვირს და მტერი თუ მაინც მტრობას არ დაიშლიდა და ღრინვას დაუწყებდა, მაშინ-კი იკადრებდა ტურა ზეზე წამოვარდნას; ერთს მიუკაწუნებდა კუდ-ამოძუებული თავის მჩაგვრელს და სულ-გამწარებულნი დასცოცხავდა სახლისაკენ.

\* \* \*

ყველიერი იყო. ყველა, ვისაც-კი ჰქონდა და არა ჰქონდა, ქეიფსა და ღროების ტარებას აპირებდა. დარი მშენიერი იღვას; ღღეები თბილი და მშრალი, ამინდი სანატრელი.

ქართველობა ქადა-ნაზუქებს აცხობდა, სომხობა ქათამ-ბატ-ინ-დოურებსა ხოცდა. მელქნეები სიამოვნებით ხელებს იფშენებდნენ, კარგ ვაჭრობა—მუშტრობას ელოდნენ და მოგებას წინდაწინვე ანგარიშობდნენ. ჯველი ბიჭები თავებს იკრეჭდნენ, ქალები კიდე ფერუმარილსა ლესდნენ. კოკოჩანთ ბაღლები რაღაც ცხვირს აცემინებდნენ, იზმორებოდნენ და ქალებმა იფიქრეს, აღმათ ბატონები თუ შეხვდათო. | სოფელში წითელა იყო მოდებული და რადგან მერე საკლავი აღარ დაიკვლოდა, ამიტომ სამი დღის ულუფა—სამი ბატი—ქალებმა წინდაწინვე დააკლვიენეს კაცებს. ბატებს ბოსელში აკეთებდნენ, ჰყვლეფავდნენ და ფუფქავდნენ.

სისხლის სუნს ძაღლები მიეზინდა და კარებში შეიციქირებოდნენ. ერთმანეთის მემჯობიას სულ წინა-და-წინ იწვედნენ, ეგები მე უფრო მეტი მერგოსო.

საცოდავი ტურა სულ უკან მოექციათ. თითქო რისამე რცხვე-





ნია და პირი ეწილებოა, კულ-ამოძუებული ყველაზე უკან იდგა. თითონაც ბოსელში შეიკვირებოდა და ტუჩებს ილოკდა ბატების ეშხით.

ქალებმა დაყვლიფეს ბატები, დაწიწკნეს, დატუსეს, ფეხებსაც ჭარი წააძრეს, მერე გამოწლეს, კუჭები დაატყავეს, დარცხეს და ხონხით იქვე ტახტთან თაროზე შედგეს.

წელები, ფეხების ჭარი, კუჭების კანი და განაყვლეფი გინგლი ნარცხი სისხლიანი წყლით ნეხვზე გადაქციეს.

ძაღლები თან მიჰყვენ. რომელიც ყველაზე ღონიერი იყო, ჯერ ის ეცა და ყლაპვა დაუწყო, რაც მოხვდა პირში, ცოტ-ცოტათი მეორემაც მიჰბედა და დანარჩენებს მოკრძალებით დაუწყო კრეფა და ჭამა. ტურაც მიეარდა, მაგრამ ერთი ისეთი შეჰღრინეს, რომ ისევე გაცლა არჩია მშიერი მუცლით. მიბრუნდა და იქვე შორი-ახლო დაწვა. იმათ გაცლას ელოდა.

ძაღლებმაც დიდხანს არ ალოდინეს, — რაკი შესანსლეს, რაც შესაქმელი იყო, გზაზე მიმაველ ოსებს გამოეკიდენ და ყეფა დაუწყეს. ტურას ახლა დაჰჩია ღრო. ნელა-ნელა ადგა, ჯერ სანახევზე დაიწყო სუნსული, მერე ბოსლის კარებზე მივიდა და ფრთის ძირებსა და წაძრობილ ნისკარტებს დაუწყო კენეტა. მერე ბოსელშიაც შეიხედა და მოკრძალებით ფენი გადადგა ზღუბლზე. ქალები სახლში გასულიყვენ და ბოსელი უპატრონოთ დაეგდოთ, ბატებიც, რასაკვირველია. მერე რა ბატები! — თითო-თითო ჯერათ ეყოფოდა ტურას!

— ეჰ, იმათკენ ჯრც-კი შევიხედავ, სთქვა ტურამ, ჩემთვის ხომ არ დაუკლავთ; რაც იმათთვის არ ვარგა და მე-კი გამომადგება, იმას მოვძებნი და პირს გავანძრევ, თორემ ბატს საჩემოთ ვინ ვახდის!

დაიწყო სუნსული ტურამ ბოსელში: ბუხართან დამწვარი ქადის ყუის ნატენი იპოვნა და მადიანათ მიირთვა, ბოძთან ქუჩი იპოვნა, ის გადაყლაპა, ქათმის საბუდრიდან ნაჭუჭები გადმოეყარათ, რაკი





თარგმანული  
ბეჭდვითი

წიწილები გამოეჩიკა კრუხს, ისინიც ჩაახრამუნა, თუმცა მალლიდან კრუხი რალაც უსიამოვნობას აცხადებდა. მაინც ვერ გაძღა, ისევ ჰჰი-ოდა! მადა უფრო გაუცხოველდა.

— ეჰ, რალა სიცოცხლეა, რო სულდგმული თაგის დღეში ერთ-ხელ მაინც ვერ გაძღეს! იფიქრა ტურამ. მე აქ შიმშილით სული მძვრება და ის ნასუქი ბატები თახჩაში აწყეია. მერე რა მარჯვით! — ეითომ რა უშავს, ან ეინ დამინახავს, რომ ის ბატები გევაპრო და ერთი ლაზათიანათ გაეძღე, ძალღები გზაზე ოსებს ჰყეფენ, პატრონები აქ არ არიან, — სწორეთ კარგი დროა!

და ეაი სირცხვილო! — ტურამ ნელა-ნელა ორი ბატი ჩამოაცოცა ხონჩიდან და მოძუძგა კარებისკენ.

ცოტა ხნის შემდეგ კოკოჩანთ რძლებს ერთი ყვირილი და თაეში ცემა ჰქონდათ; ერთი მეორეს აბრალედა, არა შენ გაგიშეია კარი ღია და არა შენაო.

ისე ბატების დაკლება არ ანაღვლებდათ, როგორც კაცებისა ეშინოდათ.

— რა წყალში ჩეარდეთ, ქალო, რა ეუთხრათ, გიორგა და გიგა რო მოვღენ? ხო დაგეზოცეს, როგორ უყოთ, რა ექნათ? რამ ჩაყლაპა ის საოხროები ასე უცებ, ახლა არ გაეედიოთ! იმ გასაზღელ-მა ბაღღმაც მაშინ დაიწყო ტირილი, ძუძუ მიეეც და ბატები სუღამაეიწყდა. ის საოხრო ტურა წაიღებდა იმათ უეჭველათ, რო კარებზედაც არა ჩანს!

დააპირეს ქაღებმა ტურა უნდა ეპოენათ და ბატები წაერთმიათ, მაგრამ ტურა ამ დროს მეზობლის მინგრეულ-მონგრეულს საბძელ-ში ცარიელი გოდრის უკან გაღამძერაღიყო და ჰეექცეოღა მაღიანათ თაგის ნაწევე-ნაღავსა.

ერთი ბატი როგორ გაღაქლაპა, ვერც-კი გაიგო, ხოლო მეორე ბატს-კი ნაზად დაუწყო ჰამა, ძეღებს აღარა კადრუღობღა და ხორცებს აცლიღა. თაგის ნება არ იყო? ახლაც ხომ ვერაეინ შე-



ეცილება! იმ ღამეს ტურას საჭმლისთვის აღარ უწანწაღნია: მთელი ღამე მკედარივით ეგდო და ეძინა იქვე საბძელში.

\* \*

მეორე დღემდე კიდევ დაეიწყდა, თუ ბატები მოიპარა და შეკამა, ნელა-ნელა კულ-ამოძუებული თავიანთ ბოსლისკენ მიიპარებოდა, რა იცოდა, თუ ხელდანელ შეკრებილმა მოსამართლეებმა ქურდობისათვის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს!

ნაცემი, ნაქეცი, პირ სისხლიანი ტურა, ყელზე წნელ-მობმული ორმა ბიჭმა ამოატარა გზაზე, დასახრჩობათ გამზადებული.

ჯანდაბას! ერთსელ ხა გაძღა!

თ. წახიკაშვილი.







## ე ნ ა - ტ ა ნ ი ა .

(თაჭუძისი)



ც-და-ათი მოსწავლე ვიყავით ერთ კლასში და ამ ოც-და-ათში ერთი რობაკევიჩი გეყავდა ამოთვალ-წუნებულის, განაპირებულის, არავის არ გეიყვარდა. ვერ წარმოიდგენთ რა სასაცილო სანახავი იყო მუ-ღამ თავჩაღუნული — მორცხვი, წითელ-თმიანი რო-ბაკევიჩი თავისი ჭრელი, გახუნებული შარვლით, რომელიც სამი წლის განმავლობაში რობაკევიჩთან ერთად გადადიოდა კლასიდან კლასში. ვისაც-კი რობაკევიჩი გაგვახსენდებოდა — პირველათ უთუოთ თვალ წინ ჭრელი შარვალი უნდა მოგეჩვენებოდა.

ლარიბი, უპატრონო ის დიდი ნიჭის პატრონი არ იყო და თუმ-ცა გაჭირვებით ამზადებდა გაკვეთილებს, მაგრამ ყველას საფუძე-ლიანათ და კარგათ შეისწავლიდა ხოლმე. კლასში ყოველთვის ყველაზე ადრე მოდიოდა; არც ერთხელ, არ მ-ესულფართ ამხანაგები სკოლაში, რომ რობაკევიჩი იქ არ დაგეხვედროდეს.

იმ დროს ყველა ჩვენგანს თითო მეტო სახელი ერქვა, ეს თი-თქმის ყველა მოსწავლეების ხელობაა, სუსტსა თუ ღონიერს, მდი-დარს თუ ღარიბს ყველას უთუოთ რამენაირ სახელის გამოუგონე-ბენ, მაგრამ საწყალ რობაკევიჩს-კი ათასნაირი სახელი დაარქვეს: კაჭკაჭიო, ნაედრევი წიწილაო, ბუხრების საწმენდიო, კიდევ ვინ



მოსთელის რამდენი რამ და ბოლოს ერთი საძაგელი სახელი  
ტანა. აი რათ დავარქვით ეს სახელი:

მეორე კლასიდანვე შევნიშნეთ, რომ რობაკევიჩი მეტათ ხშირათ ეჩუჩრჩულებოდა ხოლმე ლათინური ენის მასწავლებელს, რომელიც მეტის-მეტი ავი და სასტიკი იყო, მისი გამხდარი და გაყვითლებული სახე ნამდვილ ეშმაკს მოგაგონებდათ, ჩვენ მას მეტ სახელს ციცერონს ვეძახდით. ჩვენი რობაკევიჩი თავისი შესანიშნავი ჭრელი შარვლით, ციცერონი გახუნებულ გამწვანებული პალტოთი, ორიე ერთათ გაწეწილა თმებით, ერთნაირათ გამხდარ-გაყვითლებულები, სწორეთ რომ სასაცილო სანახევები იყვენ.

იმათი შეხვედრა ყოველთვის რაღაც საეჭვო მეგობრული იყო.

— რობაკევიჩო! მოამზადე გაკვეთილი? — დაეკითხებოდა ხოლმე ციცერონი.

— მოვამზადე, მასწავლებლო!

— ხომ კარგათ იცი?

— ვიცი, ბატონო მასწავლებლო!

— მაშ კარგი, დაჯექი...

ან კიდევ:

— რას იტყვი, რობაკევიჩო? კარგათა ხარ?

— კარგათ.

— ძალიან კარგი. — და ციცერონი გაღუსეამდა თავზე ხელს, ასე რამ დაახლოვა მუდამ მოღუშული ციცერონი და რობაკევიჩი არავინ არ იცოდა, ღვთის წინაშე ამას-კი ვატყობდით, რომ თითქო ციცერონი უფრო ცდილობდა რობაკევიჩთან დაახლოვებას, ვიდრე რობაკევიჩი ციცერონთან.

ერთხელ მივედი რობაკევიჩთან და ეკითხე:

— რა მეგობრობა გაქეთ შენ და ციცერონს?

— არაფერი! — მიპასუხა ჩვეულებრივ გაწითლებულმა რობაკევიჩმა.

— მაშ რას გეკითხებოდა გუშინ დილას?



— ის მკითხავდა სადა დგებარო და მეც ვუპასუხე: ნახშირებთან-მეთქი.

— მერე იმან რა გითხრა?

— რა მითხრა და მკითხა: ბევრსა სწვამენ ნახშირს შენი სახლის პატრონებო; მეც ვუპასუხე: სადა აქეთ იმათ ნახშირის დაწვის თავი, ისინი კალათებით ზიდვენ ნახშირს და ქალაქში ჰყიდიან მეთქი! ამითი გვათაფეთ ჩენი ლაპარაკი.

ისე გულწრფელი კილოთი იყო ნათქვამი მისი სიტყვები, ისე დაერწმუნდი მის სიმართლეზე, რომ იმავე საღამოს ჩემ ამხანაგებს: ტერნიცკის, პოლიტაევს და შუმსკის სულ იმაზე ველაპარაკებოდი, რობაკევიჩს უსამართლოთ ვექცევით-მეთქი.

— იქნება დიდათ პატიოსანია, — შეჰყვირა ტერნიცკიმ, — მაგრამ მე-კი მეჯავრება! ის რომ მე ერთხელ კარგ საქმეს არ დამმართებს ნამდვილათ ვიცი, გული მიგრძნობს.

ტერნიცკი პირველ მოსწავლეთ ითვლებოდა, მაგრამ ერთი მეტათ გლოხა თვისება სჭირდა: როცა წყალი გაიყინებოდა, თოკითაც რომ დაგება, ვერ მოითმენდა ყინულზე არ გასულიყო და არ ეცურაფა, იმ დროს აღარც გაკვეთილი ახსოვდა, აღარც მასწავლებელი, არც თავისი თავი. რაც უნდა დაგვეშალა, შინც გაიპარებოდა ყინულზე სასრიალოთ. ერთ ან ორ კვირას შემდეგ თითქო მოსწყინდებოდა ხოლმე, მაგრამ სანამ მოსწყინდებოდა საშიში იყო ან თითონ არ მოეტეხა კისერი ან სხვებს არ დასჯახებოდა და თავპირი არ დაემტვრია.

ერთხელ ზამთარი მოახლოვებული იყო, ტერნიცკიმ შენიშნა, რომ ხეებსა და ბანებს თეთრი ჯანლი გადაჰფარებოდა.

— ხეალ წყალი გაყინული იქნება, — სიხარულით წამოიძახა მან. მაგრამ ბარბარობამდის ყინული არაფის გვიანახავს. ბარბარობა ღამეს კი ძლიერმა ყინვამ გამოუშვა თავისი სუსხი.

— ბიჭებო! — აღტაცებით შემოგვძახა ტერნიცკიმ — ხეალ დილას



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თუ ყინულზე ცურვა გაიმართა ვერ მოვითმენ, რომ მეც არ ვიყავი.  
რაფა. სკოლაში არ წავალ, ავთმყოფობას მოვიგონებ.

— ზეგ ღღესასწაულია და მაშინ გეყოფა ცურაობა, შენიშნა  
პოლიტაევმა.

— გეუბნები, რომ ზეგამდის ვერ მოვითმენ.— ჯიუტობდა ტერ-  
ნიცკი.

— დაანებე თავი მაგ ხისულელეს, თუ ძმა ხარ.

— ხელ დაენებებ თავს, მაგრამ ცურაობას-კი არა—სკოლას!

— ნუ სულელობ, კაცო,—კიდევ შენიშნა პოლიტაევმა—სწო-  
რეთ ხელიდან იწყებს ბერძენი რაღაც ახალ საგანზე სწავლებას..  
არ გენანება ამ გაკვეთილს რომ მოხსცდე?

ტერნიცკი შეჩერდა. ეტყობოდა, რომ საყვარელი მასწავლებ-  
ლის გაკვეთილის მიტოვება ძალიან ეძნელებოდა.

— ბერძენი სხვა დროსთვის გადასდებს გაკვეთილს. ბოლოს  
წარმოთქვა იმან.

— როგორ თუ გადასდებს? ერთ ხმათ შეეყვირეთ ჩვენ.

— ეხ, გეუბნებით, რომ ვერ მოვითმენ!—ყრუთ წამოიძახა ტერ-  
ნიცკიმ და გავარდა გარეთ.

მეორე დღიას თითქო ტერნიცკის ჯიბრით ათი გრადუსი სი-  
ცივე დაიჭირა. როდესაც გავიღვიძე, ტერნიცკი უკვე ჩაცმული იყო  
და საჩქარათ წიგნებს ალაგებდა.

— რას შერებდი, კაცო? მიშა! მოიცა, ჯერ აღრეა! რა დაგე-  
მართა, სად მიდინარ?—მიეყვიროდათ ჩვენ, მაგრამ ის ყურს არ გვიგ-  
დებდა და გაჩქარებით გარბოდა სკოლისაკენ. ჩვენც მოვემზადეთ და  
გავეშურეთ, მაგრამ ეს რა ამბავია! რას ეხევეა ხალხი ჩვენ გიმნა-  
ზიას?—ვეჭითხებოდით ერთმანეთს მე და პოლიტაევი. და აი რა ენახეთ!  
ჩვენი კლასის ოთახი მთლათ გაბურული იყო კვამლით და  
ერთი ალიაქოთი ტრიალებდა, ეილასაც გოგირდის წუმწუშა შეეყარა  
ახლათ დახურულ ფეხში და ამისაგან საძაგელი სუნი იდგა. ჩვენ  
ყველამ დერეფანში მოვიყარეთ თავი. ტერნიცკიც მოვიდა, მაგრამ





გაჩუმებული იდგა. ბოლოს რობაკევიჩიც გამოჩნდა. მოსამსახურეებს დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ აბა იმათ რა იცოდენ, ვისი ეშმაკობა იყო.

— ნეტა თუ რას გვიზმენ? ვეკითხებოდით ჩვენ ერთმანეთს.

— რას გვიზმენ და დღეს სწავლა არ გვექნება. — წარმოთქვა ტერნიცკიმ და ძირს დაიწყო ყურება.

ბოლოს ღირექტორიც შემობრძანდა, ბერძენიც უკან მოსდევდა.

— იქითა ბუნებრივად ხომ არ გავიხურებიათ დღეს? — დაეკითხა ღირექტორი მოსამსახურეებს.

— არა ბატონო, ვინ იფიქრებდა თუ ამ ამბავს მოახდენდენ! გაიმართლა თავი უფროსმა მსახურმა.

— არც არის საჭირო, დაე გაიყინონ, გააღეთ ფანჯრები! — გაბრაზებით დაიყვირა ღირექტორმა, მერე თითქო რაღაც მოაგონდაო, მოგვიბრუნდა ჩვენ და შემოგვიძახა:

— ახლავე ყველანი სახლში წადით, თქვე ცინგლიანებო და შუადღისას ისევ აქ მოგროვდით, გესმით? მე მინდა შევიტყო, ვინ არის ის ვაჟბატონი, რომელმაც ეს სისულელე ჩაიდინა! — თქვა ეს და გავიდა გარეთ.

ჩვენ საჩქაროდ გამოვედით სკოლიდან, მაგრამ შუადღისას ისევ კლასში მოსვლა და გამოძიებაზე დასწრება თავისუფლების სიხარულს გვიშხამავდა. ყველა თითქო საყვედურით ტერნიცკის შეცქეროდით.

იმის მაგიერ რომ სახლებში წავსულიყავით — გაეჩერდით სკოლის წინ და შეგვექნა რჩევა. იქვე მოვიდა რობაკევიჩიც თავისი გახუნებული კრელი შარელით.

— მოდიხარ, შენც ყინულზე საცურაოთ? — დაეკითხა ტერნიცკი რობაკევიჩს.

— რანაირათ წამოვიდე, რომ თხილამურები არა მაქვს.

— მე გათხოვებ, რობაკევიჩო! — უთხრა პოლიტაევმა.



რობაკევიჩი ჩაფიქრდა და ბოლოს, თითქო რაღაც მოაგონდა, უცებ გაექანა-სახლისაკენ. კუთხეში მას შეეფეთა ლათინური ენის მასწავლებელი, რომელსაც ქუდ მოხდილი რობაკევიჩი კარგა ხანს ელაპარაკა.

— ოჰო, ციცერონმა უკვე ყველაფერი შეიტყო! — წაილაპარაკა პოლიტაევმა.

— შეჰველია ვინმე ეტყოდა, — ეუბასუხე მე.

— მოეშორდეთ მაგ ჯაშუშებს! — წაიჩურჩულა ტერნიცკიმ. — მე ვიცი რომ დირექტორი ყველაფერს გაიგებს და ამიტომ ყინულზე ცურაობის ხალისი აღარა მაქვს.

— რას სულელობ, საიდან გაიგებს — ვამშვიდებდით ჩვენ.

— რობაკევიჩი კლასში იჯდა, როდესაც მე მოვედი, — ბუტბუტებდა ტერნიცკი — მართალია, ის თავ-აუღებელივ სწერდა, მაგრამ კარგათ დამინახა რაც მოვიქმედე; ახლა ის ციცერონს ეტყვის, ციცერონი ყველას და ვიცი რომ სასტიკათ დამსჯიან.

თორმეტ საათზე ჩვენ ყველანი კლასში გამოეცხადდით. მღვდელი და ბერძენი უკვე მოსულიყვენ. ამათ დანახვზე ტერნიცკი შეკრთა, შეჩერდა, თითქო კლასში შემოსვლა ეძნელებოდა. მთლათ ჯანკალებდა.

ყველა ჩვენ ადგილებზე დაესხდათ. ბერძენი თავ-აუღებელივ სწერდა, ჩვენთვის არც-კი შემოაუხენდაეს, მხოლოთ ტერნიცკის შეხედდა, თავი დაუკრა და უთხრა:

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ყმაწვილო?

ზარი დაირეკა და ციცერონი შემოვიდა კლასში. ის მიუახლოვდა ბერძენს და რაღაც უჩურჩულა, ჩვენ მხოლოთ ერთ სიტყვას მოგვარიტ ყური: დიჭექტოჭი და რას ნიშნავდა — ეს-კი არ გვესმოდა. ციცერონი ისევ გავიდა, მე თვალი მოგვარი, რომ გასელის დროს თითქო რობაკევიჩის გაუღიმა. ყველა ჩუმათ ვისხედით. ბოლოს ბერძენმა იკითხა:





— დღეს ვინ უნდა წაიკითხოს ლოცვა?

— რობაკევიჩმა — საჩქაროთ უპასუხა ერთმა ამხანაგმა.

რობაკევიჩი წამოდგა და ხმის კანკალით წაიკითხა ლოცვა.

— დასხედით! — წარბ-შეკვრით შემოგეძახა ბერძენმა და შემდეგი სიტყვებით დაგვიწყო ლაპარაკი: — ყმაწვილებო, უნდა გითხრათ, დღეს მე თქვენ საშინლათ მაწყენინეთ, გული მიკედება დღევანდელი თქვენი უწყისო საქციელი რომ მაგონდება. მე თქვენ გულით მიყვარდით და დღემდის სამაგალითო ბავშვებიც იყავით, მაგრამ არ ვიცი დღეს რა დაგემართათ. ჩემდა სამწუხაროთ უთუოთ უნდა გავიგო ვინ არის დამნაშავე. დღევანდელი ცელქობით ხომ მაწყენინეთ, მაგრამ უფრო საწყენი ის იქნება ჩემთვის, თუ მე, თქვენს მასწავლებელს, დამიძალავთ და სწორეთ არ მეტყვიეთ ვინ იყო დღეს რომ სამაგელი ცელქობა ჩაიდინა. ამას შემდეგ ბერძენი დაჯდა და ქურნალში ჩვენი გვარების ამოკითხვა დაიწყო.

— ტერნიცკი!

ტერნიცკი გაფითრებული წამოდგა.

— ტერნიცკი, თუ პატიოსანი ბიჭი ხარ და გაქვს ჩემი ხათრი — მართალი მითხარი, შენ შეჰყარე ამ დილას ფეხში გოგირდის წუმ-წუმა თუ არა? — დაეკითხა ბერძენი

— მე არ შემიყრია! — საჩქაროთ წაილაპარაკა ტერნიცკიმ.

— დაჯექი. — უთხრა ბერძენმა და განაგრძო გვარების კითხვა:

— პოლიტაევა, შუმსკი, რინნერო და სხვა-და სხვა...

— არც მე ვიცი, არც მე, არც მე — გაისმოდა ერთი და იგივე პასუხი.

— ძალიან კარგი, — გავიფიქრე მე — ჩავა ბოლომდის და ვერაფერს შეიტყობს. ჰმ დროს თვალი შევასწარ ტერნიცკის და გულმა კანკალი დამიწყო. ღმერთო! რა ფერი ედღა. მთლათ გაყვითლებულიყო და კანკალებდა. ეტყობოდა რიღასიც ეშინოდა.

— რობაკევიჩო! გაისმა ბერძენის ხმა.

— არ ვიცი! — უპასუხა რობაკევიჩმა მისუსტებული ხმით.



ტერნიცი, რომელსაც არ გაუგონია რობაკევიჩის პასუხი. წყნარად მოხტა ზეზე და შეჰყვირა:

— მე ვიყავი, ბატონო მასწავლებლო! მე შევეყარე ფეხში გოგირდის წუმწუმა, მე!

ჩვენ გოცებით შევეყურებდით ტერნიცის. ბერძენს თავი ძირს ჩაეღუნა და ქურნალს ფურცლადა.

— შენ რა გვარი ხარ? — ცოტა ხანს შემდეგ დაეკითხა ბერძენი, თითქო არ იცოდა თავისი პირველი მოსწავლის გვარი.

— ტერნიცი! — უპასუხა მან.

— დაჯექი! — უთხრა ბერძენმა. მე შენ უკვე გამოგკითხე და პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ არაფერი ვიციო.

ტერნიცი გაქვავებულსავეით იჯდა.

— მე ვიყავი, მე, გეფიცებით! — ტირილით გაიძახოდა ტერნიცი.

— მე მოვიქმედე იმიტომ, რომ ყინულზე ცურაობა გვინდოდა, ერთი შაურის გოგირდის წუმწუმა ვიყიდე და ფეხში შევეყარე. ერთი საათის წინ დაეფიცე, მაგრამ ახლა მართალს ვამბობ, ღმერთმანი. თქვენ ხომ გეცოდინებათ ეს, რადგან რობაკევიჩი იმ დროს კლასში იყო და შექვევლია დაწვრილებით გაამბობდათ ყველას... იმან სულ ყველაფერი დაინახა. აბა თუ უარს იტყვის ეგ მამბებლარი, ენა-ტანია! ტერნიცი სკამზე დაეცა და ტირილი დაიწყო. მთელ ამხანაგებში ერთ-ხმათ გაისმა: ენა-ტანია, ენა-ტანია!

— მე არაფერი არ მითქვამს. — კანკალით წარმოთქვა რობაკევიჩმა.

ამხანაგებში კიდევ ერთ ხმათ გაისმა: ენა-ტანია, ენა-ტანია!

— დასხედით, დამშვიდდით! — შემოგვიყვირა ბერძენმა. ჩვენ ყველანი ჩაეჩუმდით. ბერძენი თავ-ჩაღუნული უსიტყვეოთ მიდი-მოდიოდა. ის თუმცა დაფიქრებული იყო, მაგრამ სახეზე ვატყობდით, რომ აღარ ჯავრობდა. ტერნიცი ისევ ტიროდა. ბოლოს ბერძენი მიუახლოვდა ტერნიცის, თავი მალლა აუწია და საერთოთ გვითხრა;





— ჩემო საყვარელო ბავშვებო!—ეს ისეთი ტკბილი ხმით გვითხრა, რომ ჩვენ თავისუფლათ ამოვისუნთქეთ.

— ჩემო საყვარელო, ბავშვებო! თქვენ მე დღეს ძალიან მაწყენინეთ. დღემდის ძალიან კარგათ იქცეოდით და მეც თავი მომწონდა თქვენით, მაგრამ დღეს სულ ჩამაშხამეთ. მე ახლაც არ ვიცი ვინ არის დამნაშავე, ტერნიცკის სიტყვა არა მჯერა იმიტომ, რომ იმას, ვინც ერთხელ იცრუებს, მეორეთაც გაუადვილდება სიცრუე. ვიმეორებ მე არაფერი ვიცი და არც მინდა, რომ ვიცოდე. რას იტყვის ღირექტორი ამაზე, მე არ ვიცი, იქნება სულ არაფერი თქვას, მაგრამ თქვენ-კი სულ ყოველთვის გენსომებათ დღევანდელი თქვენი გლახა საქციელი.

ჩვენ გარს შემოვეხვიეთ ჩვენს ძვირფას, კეთილ მასწავლებელს და ვეხვეწებოდით:

— ნუ გაგვცემ, ბატონო მასწავლებელო, ნუ გაგვცემო.

— დასხედით თქვენ ადგილს!—დაგვიყვირა მან და დაიწყო გაკვეთილი, რომელსაც ბოლომდის ყურადღებით ვისმენდით.

საქმე კარგათ მოეწყო. ჩვენ უბრალო საყვედურით გადავრჩით, მაგრამ უბედურ რობაკევიჩის-კი იმ დღიდან დაერქვა ენა-ტანია. ციცერონთან მეგობრობას ის თავს არ ანებებდა და ჩვენ, ამხანაგები, სრულიად ჩამოვშორდით მას. არც თითონ ცდილობდა ჩვენთან დაახლოვებას.

ერთ დროს შუა ზამთარში რობაკევიჩი სამ დღეს არ მოსულა გიმნაზიაში. მეოთხე დღეს გაკვეთილის გათავების შემდეგ ბერძენმა გვკითხა:

— ეინა ცხოვრობს იქით მხარეს, საითაც რობაკევიჩია? უნდა გავიგოთ, ავად ხომ არ არის.

ხმას არაფერ იღებდა.

— საცოდავი ობოლია, პატრონი არაფერა ჰყავს—განაგრძნო ბერძენმა—საწყალ ხალხთანა აქვს ბინა, იქნება კიდევ მოკვდა და ჩვენ არაფერი ვიცი.





რამდენიმე ამხანაგი ერთათ წამოდგა, მაგრამ ყველაზე უწინ ტერნიცკიმ წამოიძახა:

— მე წაველ, ბატონო მასწავლებლო!

— მეც, მეც, მეც! ყვიროდენ სხვებიც.

— კარგი, კარგი... მაგდენი მეგობრები ბევრი მოუვა საწყალ ბიჭს—შენიშნა ბერძენმა.—შენ წადი ტერნიცკი... მე შენთვის მომინდვია... ხვალ პასუხს ევლი.

გარეთ რომ გამოვედით, მე, პოლიტაევი და შუმსკი შემოვეხვეით ტერნიცკის და ვეხვეწებოდით, ჩვენც წამოვალთო!

— კარგი, წამოდით. შემოგვიერთდა რიხტერიც და ხუთივემ გავსწიეთ მენახშირეებისაკენ, რომლებიც სულ ქალაქს გარეთ ცხოვრობდენ და მიუხანლოვდით პატარა მიწურ სახლს.

— შუშ.. სსსუ .. ციცერონი! — გაგვაჩერა შუმსკიმ.

ჩვენ თვალწინ აჩრდილსავეით გაიბინა ციცერონმა, რომელსაც ილლიაში რაღაც ეჭირა ქალაქში გამოხვეული.

ჩვენ გაუაცვივებით ვადვენებდით თვალს ციცერონს, რომელიც მოკუნტული შეძვრა იმ ქოხში, სადაც რობაკევიჩი ცხოვრობდა. ფხაკრეფით დავედვენეთ უკან და თავმოტეხილ შუშთან პატარა ლამპით ოდნავ განათებულ მიწურ ოთახში შემდეგი სურათი დავინახეთ. ნოტიო ოთახის ერთ კუთხეში მიწოლილიყო მოხუცი მენახშირე, ბუხართან რაღასაც დაუათურებდა მისი ცოლი და შუა მიწაზე თამაშობდენ სამი პატარა ბავშვი. რობაკევიჩიც მიჯდომოდა ცეცხლს და თან თვალს ადვენებდა პატარა ბავშვების თამაშს.

ციცერონი შემოვიდა თუ არა—ყველა სინარულით ფეხზე წამოდგა, რობაკევიჩმა ხელზე კოცნა დაუწყო.

— მე პირობა მოვეცი, ჩემო რობაკევიჩო, რომ აქამდის უნდა მოესულიყავ — დაიწყო ციცერონმა, — მაგრამ ვერ მოვახერხე. რატომ შენ არ მოხვედი ჩემთან, ჰა? ალბათ შენი ქრელი შარვალი გაგექცა სადმე, არა?

— სულ მთლათ დამეგლიჯა, მასწავლებლო! ეცადე ერთხელ კი-





დევ დამეკერებინა, მაგრამ აღარ მოხერხდა. ათგან არის დაგლეჯილი.

— ათგან? აბა მაშ ეს გაშინჯე? ამას მგონი არა უშავს-რა. სსსუ!.. რა გატირებს, არა გრცხვენია? აქეთ მოდი, სინათლისკენ, რომ სიგრძე გავშინჯო.—და ციცერონმა დაუწყო სიგრძის ზმანება თავისი ნაცვამი შარელისა, რომელიც რობაკევიჩისთვის მოეტანა.

— ახლავე გავაკეთებ. მე შენზე ბევრით არც-კი ვარ მაღალი—უთხრა ციცერონმა და აიღო მაკრატელი—ჯერ კიდევ მაგარია, იმედია სამ წელიწადსაც ეს გეყოფა, ამიტომ ცოტა ტოტებს ბრტყლათ შემოგეცავ, რომ მერე დაფაგრძელოთ ხოლმე. მოიტა ახლა ნემსი და ძაფი.

— ჩემო ძვირფასო მასწავლებელო, რა კეთილი რამა ხართ! ლულლულეზდა რობაკევიჩი და თან სინარულით თვალგზიდან დაპა-ლუპით ცრემლებს ჰყრიდა. და

— ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა დაგლოცოს!—ბუტბუტებდა მენახშირის ცალი და გოცებული შესცქეროდა მასწავლებლისაგან ისე მარჯვეთ ნემსისა და ძაფის ხმარებას.

რამდენსამე წამს შარვალი მზათ იყო.

— აბა ჩაიცვი. სკოლაში ხომ მოხვალ ხვალ?

— მოვალ, ჩემო ბატონო! რასაკვირველია მოვალ!—საჩქაროთ უპასუხა თვალ-ცრემლიანმა რობაკევიჩმა.

— აჰა სამი შაურიც პურისათვის გქონდეს. ნახვამდის, ყოჩა-ლათ იყავი!—წაილაპარაკა ციცერონმა და თითქო თავისი საქციელისა რცხვენეიანო საჩქაროთ გავარდა გარეთ.

ჩვენ ყველას ტირილი მოგვეგვარა ამ სურათის ცქერამ.

— წავიდეთ, — ხმის კანკალით წაილაპარაკა პოლიტაევმა. ყველა-ნი წამოვედით, მაგრამ იმ ღამეს არც ერთ ჩვენგანს ძილი არ მიჰკარებია თვალზე. მეორე დილას, შვიდ საათზე, ხუთივე რობაკევიჩის ბინაზე გაჩნდით.

— თქვენც რობაკევიჩთან მოდინართ? — შემოგვეყვირა შუმსკიმ, რომელსაც ხელში რაღაც ეჭირა ქალაქში გახვეული.



— ადლოფო, შენც იქ მოდინარ?— ახლა ჩვენ შევეყიერთ რისტერს.

— მეც იქ მოვდივარ, მაშ! — გვიპასუხა მან და ჯიბეზე ხელი დაიკრა.

რობაკევიჩი უკვე გამოწყობილიყო თავის ახალ ქრელ შარვალში და რძესა სვამდა. რომ დაგენახა ძალიან გაოცდა, მაგრამ ჩვენ საჩქაროთ აეუხსენით მიზანი ჩვენის მისვლისა და გადავეცით საჩუქრები: პოლიტაევს მოეტანა მისთვის საპი პერანგი, რისტერს ხუთი მანეთი, ტერნიცკის ორი ახალი შარვალი, შუმსკის ორი წყვილი ახალი ჩულკი და მეც სამი პერანგის ამხანაგი.

ყველა ამ საჩუქრებით გახარებული რობაკევიჩი ხან ერთს გვეხვეოდა და ხან მეორეს და არ იცოდა როგორ გადაეხადნა მადლობა. ჩვენ ვამშვიდებდით და ვთხოვდით ეპატიეებინა ჩვენთვის ის რაც უსიამოვნებას ვაყენებდით.

— აბა ახლა ვინმემ გაზედ კვირს ეხატანია დაგიძახოს, ან ციცრონზე ცუდი რამ თქვას, ჩვენ ვაჩვენებთ სერს— ვეუბნებოდით რობაკევიჩს და ხელ-გადახვეული, მხიარულათ მივეშურებოდით გიმნაზიისაკენ.

ს. ციციშვილი.







## ქან ღარკი.

(გადმოკეთებული ფრანგულიდან)

აფრანგეთი ისეთი დიდებული და შესანიშნავი ქვეყანაა, რომ რაც იქ დიდრონი და გამოჩენილი ეკლესიები, სასახლეები, ციხე-დარბაზები ღვთი ძეგლებია სულ გაანადგურონ, მაინც — ზღვებნება ისეთი ადგილი, რომლის სანახავათ ევროპის ყველა კუთხიდან მიეშურება ხალხი.

ეს ადგილი არის სოფელი დომრემი და იქ პატარა ქოხი, სადაც 1412 წელს ქან ღარკი დაიბადა. ქანას სიკვდილს 'ძემდეგ' ოთხმა საუკუნემ რომ გაიარა ავსტრიის ხელმწიფის შვილებმა დიდი სიამოვნებით იწუხულეს ეს ქოხი და მის ჭერიდან სახსოვრათ წაიოეს ნათატები, რომ, როგორც წმიდა ნაწილი, შეენახათ.

ქანა, როგორც მაშინდელი მწერლები აგვიწერენ, წყნარი, ჩუმი და ალერსიანი ქალი იყო. ის ყოველთვის ან ხელ-საქმეს ჯეუებდა, ჰქსოვდა, ჰკერავდა და ან ცხერებს აძოვებდა. მას ჰქონდა შავი დიდრონი თვალები, შავივე თმა მუხლებამდის სცემდა, შუა ტანისა იყო, მოთეთრო. ვერავინ ნახავდა მას წვეულებაში მოთამაშეს, ან სადმე მოცეკვავეს, ის სულ შრომობდა და თავისუფალ დროს ლოცვაში ატარებდა, ხშირათ დაიარებოდა თავის სოფლის ეკლესიაში. ხან-ღან-ღან ჩვეულებათ ჰქონდა წასკლა დაბურულ



ტყეში, რომელიც სოფელთან ცოტა მოშორებით იყო. არის გად-  
 მოცემა: ვითომ ამ ტყეში მოჩუხჩუხებდა შენიერი წყარო და იღვა  
 დიდი წითელი, რომელსაც ხალხი „ფერიების ხეს“ უწოდებდა. ამ  
 ხის ტოტებში ვითომ ბუდობდნენ ფერიები და მხიარულობდნენ, მაგ-  
 რამ მას შემდეგ, რაც საფრანგეთს უბედურება ეწვია და ინგლისე-  
 ლები შემოესივნენ, ფერიებმაც შეწყვიტეს მხიარული ცეკვა-გალობა  
 და მხოლოდ მათი მოთქმა და ოხერა-ლა ისმოდა. სხვა ამბავიც იყო  
 ხალხში დარჩენილი, ვითომ საფრანგეთს ქალწული დაიხსნისო.

ამ უბედურ დროში საფრანგეთი მართლა დაპყრობილი და გა-  
 ნადგურებული იყო ინგლისელებისაგან. მთელი საფრანგეთის მაგიე-  
 რათ მხოლოდ ერთი მახრა დარჩა მტრისგან ხელ-შეუხებელი, და-  
 ნარჩენი სამეფო თრთოდა და შეძრწუნებული იყო ინგლისელების  
 სამკაცრისაგან. უცხოელთა ბატონობა მეტათ შესაწუხებელი იყო,  
 მით უმეტეს, რომ ნახევარი საფრანგეთი მტერს მიუდგა. მაშინდელი  
 დაუგვირგვინებელი ტანტის მემკვიდრე, უხასითო კარლოს მეშვი-  
 დე, ხედავდა, რომ მის უკუთხებელი გვირგვინს ინგლისელები ყო-  
 ელ დღე აცლიდნენ თითო ძვირფას თვალს. სამშობლოს უბედურე-  
 ბაზე ყველგან ლაპარაკობდნენ და წუხდნენ. სოფელ დომრემშიაც, რა-  
 საკვირველია, ყველა აღელვებული იყო მტრების შემოსევით.

შეწუხებული ხალხი ზემოთ მოყვანილ გადმოცემაში ეძებდა  
 ნუგეშს. ჟანა პატარაობიდანვე ხედავდა თავისი ხალხის უბედურებას,  
 პატარაობიდანვე ესმოდა ასეთი არა ჩვეულებრივი ზღაპარ-გადმოცე-  
 მები და ოცნებები გაიტაცებდნენ ხოლმე მას. ბოლოს იქამდის მივიდა,  
 რომ სხვა-და-სხვა მოჩვენებებიც მოეგლინა.

ერთხელ ჟან დარკი მარიამობის მარხვაში ეკლესიის მახ-  
 ლობლათ იდგა, უცბათ დაინახა, რომ რაღაც განსხივდა და ამ დროს  
 ხმაც მოესმა: „ჟან, იყავ მუდამ კეთილი ქალი და გიყვარდეს ეკლე-  
 სიაში სიარულიო“. ჟანას შეეშინდა ამ ჩვენებისა, მაგრამ ხმა მაინც  
 უფრო ცხადათ უმეორებდა ერთსა და იმავეს. ბოლოს მის თვალეშა  
 გამოეხატა ნათელი მოსილი ქაბუკი, რომელსაც ნათელი ფრთები





ესხა. როცა ჟან დარკი გამოერკვა ჩვენებისაგან და გონზე მოვიდა, მტკიცეთ დაარწმუნა თავისი თავი, რომ მას ნამდვილათ გაბრიელ მთაფარანგელოზი გამოეცხადა.

რაც უფრო შემადრწუნებელი ამბები მოდიოდა ომის ეელიდან, მით უფრო ხშირათ ელანდებოდა ჟან დარკს ჩვენებაები. სულ 15 წლისა იქნებოდა, რომ მას კვლავ მოეჩვენა მთაფარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „წადი საფრანგეთში და დააგვირგვინე დოფინიო“. (ტახტის შემეკიდრე.)

ჩვენებაები გაუხშირდენ, ჟანა დაარწმუნდა, რომ სწორეთ ზეცა აეალებდა მას ასეთ ძნელ საქმეს და აყვედრიდა თავის თავს, რომ ასე იგვიანებდა. ერთხელ ჟანა ლოცვას შემდეგ აღელივებული გავიდა სოფლიდან და მივიდა ქალაქ ეოკულებს, მონახა ქალაქის უფროსი და უთხრა: მე უნდა გადმოგცეთ ჩემი უფროსის ბრძანებაო.

— მერე ვინ არის ეგ შენი უფროსი? ჰკითხა ქალაქის უფროსმა და გაკვირვებით გადახედა სოფელ დომრემის ემაწვილ მწყემსქალს, რომელიც ისეთი რწმენით ლაპარაკობდა.

— ჩემი მბრძანებელი და უფროსი, — თქვა ჟანამ, — არის მეფე ცისა, რომელმაც მიბრძანა ქალაქი ორლეანი გავათავისუფლო და დოფინი დავაგვირგვინო ქალაქ რენს.

პასუხათ მოხუცებულმა ქალაქის უფროსმა გაკვირვებით მხრები აიწია და დაცინვით თქვა: — ეს ემაწვილი ქალი ან ეშმაკის წილი უნდა იყოს და ან შეშლილიო. პირველ შემთხვევაში უნდა შეაჩვენონ და მეორეში — ღირსია სასტიკათ მოექცენო.

ამ მუქარამ ჟანა სრულგებითაც არ შეაშინა. პირიქით კიდევცა თქვა, ამ გვარსავე პასუხს ორჯელ მაინც მივიღებო, რადგან ვისი ბრძანებითაც მოვედი, იმისგან ნაბრძანები მაქვს, სამჯელ უარს გეტყვიან, სანამ ლეთის სიტყვას აასრულებო. ამ ლაპარაკს დაესწრო ორი კეთილშობილი მეომარი. ამათ ძალიან გაუკვირდათ ემაწვილი ქალის ასეთი მტკიცე ლაპარაკი და მისი მხარე დაიჭირეს. აღუთქვეს ყოველ გვარი შემწეობა და თავიანთ ხმალზე დაიფიცეს, რომ ამ დომ-



რემის ქალწულს გაჰყვებიან შინონის ციხემდის, საცა იყო იმ ქამათ საბრალო მეფე კარლოსი.

მეტი გზა არ იყო ქალაქის უფროსი უნდა დათანხმებულიყო ამ ორ კეთილშობილ ვაჟკაცის თხოვნაზე და უთხრა ქანას:

— წადი და მოგივიდეს ის, რაც მოასდგელია. მერე მისცა თავისი ხმალი და ისე გაისტუმრა.

ქანა მობრუნდა თავის სოფელში დედ-მამასთან გამოხასიალმებლათ; ჯერ მუხლ-მოდრეკილმა მხურვალეთ დიდხანს ილოცა, მერე გამოუცხადა თავის მშობლებს, რომ იგი ამორჩეულია ღვთისაგან სამშობლოს გასანთავისუფლებლათ და უნდა წაეიდეს ქალაქ ორლენანის დასაცველათ. მოხუცებულებს შეეშინდათ, იმათაც თავიანთი შვილი გიჟათ იცნეს, მაგრამ მალე ქანას საქმენელათ მოვიდა ორი კეთილშობილი კაცი, რომელნიც უნდა გაჰყოლოდენ ამას. მეტი გზა არ იყო, დედ-მამამ აღარ დაუშალა წასვლა.

ახალგაზდა ქალმა შეიკრიჭა თმა, ჩაიცვა კაცური ტანისამოსი და ისე გამოვიდა სოფლიდან. მას წამოჰყვა, გარდა იმ ორი კეთილშობილი, მეომრისა ერთი ძმაც, რომელსაც არ უნდოდა და მართო გაეშვა.

კარგა ხნის მოგზაურობის შემდეგ ქანა თავისი ამალით მივიდა მეფის კარზე. ჯერ არ უნდოდათ მისი მიღება, მაგრამ მერე კარლოსმა ბრძანა.

— ენახათ, შემოვიყვანათ, დროს გასატარებლათ მაინც დაეუგდოთ ყური, მე თქვენი ტანისამოსით თქვენში გავფრევი, ერთ-ერთი თქვენგანი მეფეთ დაჯდეს, გამოეცადოთ ის ქალი, მართლა ზეშთაგონებით მოქმედობს, თუ არა, და, თუ მართლა ღვთისაგან გამოგზავნილია—იმასაც შეიტყობს, რომელია მეფეო.

როგორც ინება თვით მეფემ, ისე მოაწყვეს ყველაფერი ქანას მისაღებათ. კარის კაცნი ყველა მშვენიერი ტანისამოსით იყვნენ შემოსილნი და მათში ევრაეინ გაარჩედა ვინ იყო მეფე. მაგრამ ქანა პირდაპირ მივიდა მასთან და მოწიწებით მუხლი მოიდრიკა.





„მე არა ვარ მეფე, უთხრა კარლოსმა, — აი, მეფე ის არის! — და უჩვენა იმაზე, ვინც თავის მაგიერათ დაესვა ტახტზე.

— ღმერთო ჩემო, შევნიერო მეფის შვილო, უპასუხა ჟანამ, ვე თქვენა ხართ და არა სხვა. მე ღეთისაგან ვარ გამოგზავნილი, რომ გიშველოთ თქვენ და ჩვენ სამშობლოს, ზეციერმა ღმერთმა დამავალა მე დაეიხსნა მტრისაგან ქალაქი ორღენი და თქვენ დაგვირგვინოთ ქალაქ ჩინს. თქვენ უნდა იყოთ თანაშემწე ზეციერი მეფისა, რომელიც არის საფრანგეთის მეფეც.

კარლოსმა ჰკითხა: — რითი დამიმტკიცებ, რომ ღეთისაგან ხარ გამოგზავნილი?

ამაზე ღმრემის ქალწულმა უპასუხა:

— გასულ წელს თქვენ ციხე-დარბაზის სალოცავში ღმერთს თხოვეთ: თუ მე მართლა საფრანგეთის ტახტის მემკვიდრე არა ვარ, წამართვით ძალა, რომ არ ვეძიო მემკვიდრეობა და არ ვიყო მიზეზი ომისა, რომელსაც ყოველთვის დიდი უბედურება მოსდევს ხოლმეო.

მეფემ თავი ჩაღუნა. მაშინ ერთმა კარის კაცმა უთხრა ჟანას: „თუ ღმერთს უნდა სამეფოს გადაჩენა, იმისთვის რა საჭიროა ან ჯარის-კაცები და ან იარაღი და თქვენ რათ თხოვეთ მეფეს ჯარს?“

— ჯარის-კაცები ომობენ, მაგრამ გამარჯვებას მხოლოდ ღმერთი აძლევს, მიუგო სიტყვა ჟანამ.

ყველა ცდილობდა ჟანასთვის ხელი შეეშალათ და რაღაც სასწაულის ელოდნენ. ამაზე ახალგაზდა ქალმა უპასუხა:

— მე აქ არ მოვსულვარ სასწაულის მოსაქმედათ, ორღენის გათავისუფლება თვითონ სასწაული იქნება. მომეცით ცოტა ჯარი და მე წავალ იქ, სადაც ღმერთი მგზავნის.

ან. წყნეთლისა.

(დასასრული შემდეგ)







აკროსტიხი.

(წარმოდგენილი კ. ფრანისპირკელისაგან).

აყუევილე „ჯეჯილი“  
 თვალ-მარგალიტი მზისაო,  
 წინ მძლოლი, მაჩვენებელი  
 ეკლით მოცული გზისაო.  
 რაგინდ ცამ მენი აწვიმოს,  
 ელვამ აკვესოს მარადა  
 თავს ნუ მოუხრის სტიქიანს,  
 ლაყბების გასაშწარადა.  
 იზარდოს ჩვენი „ჯეჯილი“  
 სახორბლეთ დადგეს ყანაო,  
 აღიღოს იმის სახელი  
 „ვინც სთესა, მოიყვანაო“.





## ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წამოდგენილი გ. ვინმე მესხისაგან).

ზარმაც კაცს თავისი ხელ-ფეხი ნათხოვნი ჰგონიაო.

კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდია—სხვისა-კი ცხვირზედაო.

ძალდი დასაქმეს და იმანაც თავის კულიო.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წამოდგენილი გ. სენნაშვილისაგან).

თუ ბიჭი ხარ გამოიცან  
 მე სახელათ რა მქვიანო.  
 მუშაობისთვის მზათა ვარ,  
 აღრე მეტყევი თუ გვიანო.  
 თუმც ყველა კაცს ვასაზრდოებ  
 მე კი მუდმისათ მშვიანო.  
 ხან რკინის ჯოხითა მცემენ  
 მასუსტებენ და მხდიანო.

(წამოდგენილი გ. ვინმე მესხისაგან).

 ერთი ხეა, რა ხეა უმიწოთ რომ იზრდებოა,  
 დათესვა, დარგვა და მყნობა არას დროს არ სჭირდებოა.

 ხარი არ არის—რქები აქვს, ეირი არ არის—კურტანი,  
 ხორცი აქვს და ძვალი არა, თეთრი ბროლივით აქვს კანი.

ერთი პატარა მანანა, მიცოცდებო-მოცოცდებო და კარს უკან ეფარებო.



შ ა რ ა დ ა.

(წამოდგენილია წყ—ღისაგან).

ერთ სახელსა სამი სიტყვა  
საუცხოვრთ ჩაჰქსოვია:  
ერთიანათ კი ზომა ეთქვათ  
საზაფხულო აღვილია.  
ისიც შუა თუ გაჰყავით,  
იცით რას ნახათ ბოლოსა?  
ერთს ქართულ უარს მიიღებთ,  
მეორეს იმერთ ჰოოსა.

(წამოდგენილია კ. ფრანისპირელისაგან).

პირველი არის მეორე ასო  
ანბანის დაწყებისაო,  
მეორეს ჩვენა ვეძახით  
ხალხსა სხვა სახელითაო.  
ოთხი ასოთი შესდგება  
სიტყვა არ არის ძნელიო,  
იმისგან ლოცვა-კურთხევას  
პატარავ მუდამ ელიო.

ა ხ ს ნ ა

№ IV გამოცანებისა.

საჩუქრის მისაღები კითხვის ახსნა დაიბეჭდება „ჯეჯი-  
ლის“ იენისის (№ VI) ნომერში.

გამოცანები: 1) კვერცხები. 2) ფითრი.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აკროსტიხი: ვასილი აბაშიძე.

ციფრების ამოცანა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ა. ყაზბეგი.

ამოცანა: ობობა ავიდა მეთექვსმეტე დღეს, რადგან იმ დღეს რაკი სვეტის თავზე მოექცა ძირს აღარ ჩამოუწვდია.

არითმეტიკული ამოცანა: ყველა ვაშლების მესამედი აიღო შალვამ, დარჩენილი ვაშლების მესამედი — გიგლამ და ბოლოს კიდევ დარჩენილის მესამედი — ვანომ. ამას შემდეგ სტოლზე კიდევ 8 ვაშლი დარჩა; ვანომ ერთი მესამედი ნაწილი აიღო, მაშასადამე სტოლზე კიდევ ვაშლების ორი მესამედი ნაწილი უნდა დარჩენილიყო, თუ რვა ვაშლი შეადგენს ორ მესამედს, ერთი მესამედი იქნება 4; ვანოს აუღია ოთხი ვაშლი, მაშასადამე, როცა ვანო ოთახში შესულა — სტოლზე ყოფილა 8 ვაშლი + 4 ვაშლი, სულ 12 ვაშლი. ეს 12 ვაშლი დარჩა სტოლზე მას მერე, როცა გიგლამ თავისი მესამედი აიღო; თუ ორი მესამედი 12 ვაშლს შეადგენს — ერთი მესამედი 12 ვაშლისა 6 ვაშლი იქნება. გიგლას აუღია 6 ვაშლი, დაუტოვებია — 12 ვაშლი, მაშასადამე, როცა ის ოთახში შევიდა — სტოლზე ყოფილა  $12 + 6 = 18$  ვაშლი. შალვამაც ხომ აიღო ერთი მესამედი, დატოვა ორი მესამედი — 18 ვაშლი. ერთი მესამედი იქნება —  $18 : 2 = 9$  ვაშლი. შალვას აუღია 9 ვაშლი, დაუტოვებია 18 ვაშლი, მაშასადამე, როცა ის ოთახში შევიდა — სტოლზე 27 ვაშლი ყოფილა.


რებუსი: კალათში კვერცხით ხელში თარიითა

ვისურვი იყო ლადო ცქვიტათა

რომ გავიძახო ქრისტე აღდგათქო

შენ მომაცხე... ჭეშმარიტათა.

გამოცანები, აკროსტიხი, ციფრების ამოცანა და რებუსი ახსნეს ოზურგეთის სასულიერო სასწ. მასწავლებლ ლეონტი თავართქილაძემ და საჩხერის ორ-კლასიანი სკოლის მოწაფეებმა: ვალერიან აბდუშელიშვილმა და დიონოზ აბრამიშვილმა.



რედაქტორ-გამომცემელი ან. თემ.-წერეთლისა.



საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი



# „ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კეკელიძის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джѣджили“.*





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა